ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 13 მარტი, 2018 №60 (7605) ფასი: 50 თეთრი

ალეკო ელისაშვილი: „საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემი კანდიდატურის დაყენებაზე ვფიქრობ“

გვ.2

„ლევან გაჩეჩილაძე, მილიონერი ხარ, შე ოხერო და რა დახმარებას ითხოვ!“

13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ქართული დეტექტივი ტომი 16

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

მოსკოვმა კვირიკაშვილს უპასუხა – „მივესალმებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი დიალოგის სურვილს“

გვ.5

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „რუსეთის მიერ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის გაჯანჯლება მისი ბარბაროსობის მაჩვენებელია“

ნანი ბრეგვაძე ტატუნაშვილის მკვლელობის გამო მოსკოვში კონცერტს აუქმებს?

გვ.4

მინისტრის პრინციპული გადაწყვეტილება ბანკების წინააღმდეგ

გვ.5

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „რუსეთს დიპლომატიურად ვერ გავარღვევთ“

„თურქეთში ქართველი ოკუპანტებისგან გათავისუფლების 97 წელი აღნიშნეს“

გვ.3

გვ.4

„მოწმე გოდერძი ჯოლოხავას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“

ვინ ჩაითრია გიორგი კვირიკაშვილი ანტიამერიკულ კამპანიაში?

გვ.5

სამართალი გვ.7

პოლიციამ გოგი ხატოევის მკვლელობის ფაქტი გახსნა



ანა დოლიძე მოსამართლეთა საგამოცდო სისტემაში ცვლილებებს ითხოვს

სოხუმში შვილის გამო ახალგაზრდა ქალი მოკლეს

ეკონომიკა გვ.6

„მოვალის ნაცვლად, შესაძლოა, თანხა თქვენ დაგეკისროთ“

ხაშურში, სურამსა და ქვიშხეთში სასტუმროები შენდება



ბანკებს კაპიტალის გაზრდა აპრილისთვის აღარ მოუწევთ

ISSN 1987-9385

4 დიდ დიღომში 27 წლის კაცის ცხედარი იპოვეს

5 რეგიონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა იზრდება

6 „საბანკო სექტორს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება მოგების რეინვესტირება“

7 როგორ გამოიყურება მამაკაცი, რომელიც გუგეშაშვილის შვილის მკვლელობისთვის იძებნება

ალეკო ელისაშვილი: „საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემი კანდიდატურის დაყენებაზე ვფიქრობ“

„ლევან გაჩეჩილაძე, მილიონერი ხარ, შე ოხერო და რა დახმარებას ითხოვ!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თბილისის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი **ალეკო ელისაშვილი** პასუხობს.

– ალეკო, ტაქსის მძღოლებისთვის დაწესებულ რეგულაციებს ტაქსის მძღოლებთან ერთად, ოპოზიციის წარმომადგენლებიც აპროტესტებენ. ლიცენზიასთან ერთად ცნობილი ხდება, რომ ტაქსებში მრიცხველის დამონტაჟება სავალდებულო იქნება. მერია ამბობს, რომ ეს რეგულაციები საგზაო პრობლემებს მოაწესრიგებს. რას იტყვით თქვენ?

– ტაქსის მძღოლებს რაც შეეხება, მეც ვემხრობი, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ სფეროს მოწესრიგება, მაგრამ ქალაქის მერიამ ტაქსების სფეროს მოწესრიგებას უნდა მიხედოს დაახლოებით წელიწადნახევრის – ორი წლის მერე. მანამდე უნდა მოაგვაროს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. გაუმართავი ტაქსების ამდენი მოცულობა არის გამოწვეული მოთხოვნით, რომელსაც აჩენს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობა. შენ შედეგებს კი არ უნდა ებრძოდე, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებას იწყებ, არამედ მიზეზებს უნდა მიხედო!

– რა არის ამის მიზეზი?

– მიზეზები არის მეტრო, ტევადი ტრანსპორტი, ავტობუსები და ასე შემდეგ. იმისთვის, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიხედო, პირველ რიგში უნდა გადახედო ხელშეკრულებას სამარშრუტო ტაქსების კომპანიასთან. თბილისში მგზავრების ნომერ პირველი გადამყვანი არის სამარშრუტო ტაქსი, ხოლო „მარშრუტკების“ კომპანია არის მაქაცარიების და სარანგიების. უზარმაზარი ბიზნესდაჯგუფებაა ამის უკან და კალაძე მას ვერ გაუბედავს რეგულაციების დაწესებას და მოწესრიგების საკითხის დაყენებას. ჩანს კიდეც, რომ ვერ უბედავს ხელშეკრულების გადახედვას. ამიტომ ყველაზე დაუცველი და უპატრონოები ვინც არიან, ესენი არიან ტაქსის მძღოლები.

– და ამიტომაც მიადგნენ მათ?

– დიახ. ეს ხალხი ლუკმაპურის საშოვნელად გამოდის. ეს რეგულაციები ქალაქისთვის შედეგს არ მოიტანს, თანაც ამ საწყალი ხალხის შემოსავლებსაც შეამცირებს. ტაქსების რაოდენობის შემცირება კიდევ უფრო გაზრდის სატრანსპორტო პრობლემებს. ეს არის ორმაგი მავნებლობა! მაგრამ იცით, რატომ აკეთებენ ამას?!

– რატომ?

– ვითომ ტრანსპორტს აწესრიგებენ. აბა იმას ხომ არ იტყვიან, სამარშრუტო ტაქსებს ვერაფერს ვუბედავთო. ან არ ვიცით, მეტროს ყურადღება როგორ მივაქციოთო. მათ მართლა არაფერი იციან, არაპროფესიონალები არიან ქალაქის მთავრობაში თავმოყრილი.

– ანუ, ნარმანიას შემდეგ ქალაქში არაფერი შეიცვალა უკეთესობისკენ?

– თითოეულმა ადამიანმა თავის თავს ჰკითხოს, ქუჩაში რომ გამოდიან, რამე უკეთესობას ხედავენ?!

– ახალი მოსულია კალაძე და მისი გუნდიო.

– კი ბატონო, ოთხ თვეში მთებს ვერავინ გადადგამდა, ვინც უნდა მისულიყო იქ, თუნდაც გიორგი სააკაძე გაეცოცხლებინათ, მაგრამ ტენდენციები უნდა გამოკვეთილიყო. არანაირი ტენდენცია არ ჩანს. საცობები ისევ არის? ჰაერი ისევ შხამიანია? ამ მიმართულებით რამე ტენდენცია გამოიკვეთა?! ერთადერთი საუბარია, რომ არიქა, ტაქსის მძღოლებს რაღაცას მოუხერხებენ. ეს კი არის იმის ჩვენება, რომ ვითომ რამეს აკეთებენ.

– პიარის შემადგენელი ნაწილია?

– პიარის და არასწორი ნაბიჯების, რაც ქალაქსაც დააზარალებს და ხალხსაც. ვის ეხალება ტაქსაობა ქალაქში?! აბა წესიერი სამსახური ჰქონდეს ამ ხალხს, კალაძესავით და მისი თანაშემწეებივით 6 ათასი ლარი ჰქონდეთ ხელფასი, თბილად იყვნენ იქ მოკალათებული და თანაც არაფერს აკეთებდნენ, მერე თუ დათანხმდებოდნენ ტაქსაობას!

კი ბატონო, მოსაწესრიგებელია, მაგრამ ეს არის სულ ბოლოს გასაკეთებელი. როგორც სახლის შენება არ შეიძლება სახურავიდან, ისე არ შეიძლება ტაქსების რეგულირებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის მოგვარება.

– სერიოზული ხმაური მოჰყვა თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან ლევან გაჩეჩილაძისთვის 30 ათასი ლარის გამოყოფას, რომელიც მას საზღვარგარეთ სამკურნალოდ სჭირდება.

– ველოდები ქალაქის მერისგან განმარტებებს, თუ რატომ მოხდა თბილისის სარეზერვო ფონდიდან ლევან გაჩეჩილაძისთვის 30 ათასი ლარის გადარიცხვა. რას ნიშნავს, როდესაც ოფიციალურად დეკლარირებულ მილიონერ ადამიანს აძლევ 30 ათას ლარს საზღვარგარეთ დაფინანსებისთვის.

საზღვარგარეთ დაფინანსება დიდი პრობლემაა. არც ერთ ჩვეულებრივ მოქალაქეს არ უფინანსებს ჯანდაცვის სამინისტრო და თბილისი მერია საზღვარგარეთ მკურნალობას! ეს არის უბრალოდ სამარცხვინო! 30 ათასი ლარი კი არა, 100 ლარზე ახვეწებენ ხალხს და უარს ეუბნებიან! არც მედიკამენტებს უფინანსებენ და ერთჯერად დახმარებებზეც უარს ეუბნებიან! როდესაც მოგმართავენ დახმარების თხოვნით, ხომ უნდა გაიაზრო, იმ ადამიანს ეკუთვნის თუ არა დახმარება.

– რისი თქმა გინდათ, გაჩეჩილაძეს საიმისოდ არ უჭირს, რომ მერიისგან ეთხოვა დახმარება?

– ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ შენ ხომ უნდა გაარკვიო, ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის დახმარება?! გაჩეჩილაძეს რაც შეეხება, მილიონერი ხარ, შე ოხერო და რა დახმარებას ითხოვ! მერე მეორეც, მერია რატომ აძლევს მილიონერს?! ხელი ხელს ბანსო და ორივე ერთად პირსო, ხომ გაგიგიათ. დღეს კალაძემ დააფინანსა, ხვალ გაჩეჩილაძე დააფინანსებს!

– აქ მხოლოდ პირადი ინტერესია?

– ვისაც აქამდე ეჭვი ეპარებოდა, ახლა ხომ დარწმუნდა, რომ „ქართული ოცნება“ და ბატონი კახი კალაძე არ არის ხალხის სამსახურისთვის მოსული. ესენი მაფიოზური დაჯგუფების წევრები არიან. ეს მაფიოზური სტრუქტურა მოაჯდა ამ ქვეყანას იმისთვის, რომ ფულები იშოვოს. სხვა არაფერი დარდი ამ ხალხს არ აქვს. კალაძე დადის მაინც აქეთ-იქით იმის საჩვენებლად, ვითომ რამეს აკეთებს, სხვები არც დადიან, აი, ეს არის მათ შორის განსხვავება, თუმცა რას აკეთებენ, აი, ეს არის საკითხავი.

– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მცირედი შვება მაინც იგრძნოს მოსახლეობამ?

– მთავარია, მოსახლეობამ გაიაზროს, რომ არჩევნები როცა მოვა, სახლში კი ნუ ჯდებიან და თავის სულს და ამ ქვეყნის პერსპექტივას 20 ლარზე კი ნუ ყიდიან. ან 200 ლარზე კოორდინატორები გამწარებულები რომ დარბიან და მერე მოდიან და „ოცნების“ კოორდინატორები მე მეწუწუნებიან. ხალხი ნუ ზის სახლში, როდესაც არჩევნები მოდის! თუ დასხდებიან სახლში, მერე ნუღარ ვიშვიშებენ და ნუღარ წუწუნებენ!

– „ოცნების“ კოორდინატორები შემოგჩივიან?

– ჩემთან მათი წუწუნი ამორალურია და მიუღებელი. მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ. მე ძალიან კარგად ვიცი, რაც არის „ქართული ოცნება“ და თვითონაც კარგად გაიაზრონ. თუ არ უნდათ, რომ მათ 100 ლარზე უარი უთხრან და უყურონ, 30 ათას ლარს როგორ ურიცხავენ მილიონერს, 15 წუთი გამონახონ ამ ქვეყნისთვის. სხვა შემთხვევაში ეს ქვეყანა იქნება განწირული ჭაობისთვის, რაშიც ახლა ვართ. ეს კიდევ უფრო გაღრმავდება.

დღეს გაცილებით ღატაკია ხალხი, ვიდრე 2012 წელს იყო, როდესაც „ოცნება“ მობრძანდა და როდესაც ბატონი ივანიშვილი გვეუბნებოდა, რომ მეოთხე წელს საკუთარ ჯიბეზე იგრძნობთო. საკუთარ ჯიბეზე ვიგრძენით, რანაირადაც გვძარცვავს „ქართული ოცნება“! ამას ვგრძნობთ მშვენივრად. მადლობა ბატონ ბიძინას!

– წინ საპრეზიდენტო არჩევნებია, აპირებთ მონაწილეობის მიღებას? აქვს ოპოზიციის კანდიდატს რაიმე შანსი?

– რა თქმა უნდა, აქვს ოპოზიციას შანსი! ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიგოს! რადგან ეს დაადასტურებს, რომ ჩვენ ვართ ყმები ბატონი ივანიშვილის და ქვეყანა კი არა, ყანაა! არ მინდა დავიჯერო, რომ აქამდე დაეცემა ჩვენი ქვეყანა! მე თუ დავინახავ, რომ სხვა კანდიდატი არ არის, რომელსაც ბრძოლა შეუძლია, მაშინ ვიფიქრებ, რომ დავაყენო ჩემი კანდიდატურა. ხოლო თუ დავინახავ, რომ ვინმე მებრძოლი, ნამდვილად მებრძოლი და არა ოცნებებში მოფარფატე კანდიდატი გამოჩნდება, მე დავუჭერ მხარს, არ მაქვს არანაირი პრობლემა.

თორნიკე შარაშენიძე: „რუსეთს დიპლომატიურად ვერ გავარღვევთ“

ნათია ხურცილავა

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ჟენევის ფორმატის შესაძლო ცვლილებასა და მის შედეგებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ჟენევის ფორმატის ცვლილებით დიდ შეცდომას დაუშვებს. მართლაც შეიძლება ხელისუფლება ჟენევის ფორმატის ცვლილებაზე ფიქრობდეს?

– ფორმატის ცვლილებაზე საუბარი არ არის. აქ, უფრო საუბარია ჟენევაში პრემიერ კვირიკაშვილის ჩასვლაზე, რაც მისი ნებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის საპასუხოდ პუტინი ან მედვედევი ჩავა ჟენევაში.

– სუბარმა განაცხადა, რომ უნდა ვისაუბროთ ჟენევის ფორმატის ცვლილებაზე. ასევე, პრემიერმა კვირიკაშვილმა თავის დროზე პარლამენტში განაცხადა, რომ ის მზად არის, პირადად ჩაერთოს დისკუსიებში. მისი ჩართულობით მოლაპარაკებების დონე აიწევს?

– დონის აწევაზეა საუბარი. თუმცა, ასე მარტივად არ ხდება ფორმატის ცვლილება. ჩავიდეს, კი ბატონო, კვირიკაშვილი, მაგრამ თავს სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდებს. ჩავა პრემიერი კვირიკაშვილი და იქიდან შეხვდება ოს და აფხაზ სეპარატისტებს და კარასინს. ამიტომ ვამბობ, რომ კომიკურ ვითარებაში ჩაიგდებს თავს. კვირიკაშვილი არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კარასინი ნამდვილად არ არის მისი დონე. კარასინი შეიძლება უკეთესი დიპლომატია, მაგრამ მისი დონე არ არის, ამას აქვს დიპლომატიაში მნიშვნელობა. თუ იმის იმედი აქვს, რომ კარასინის ნაცვლად ჟენევაში მედვედევი ჩავა ან თავად პუტინი, მაშინ ძალიან ცდება. ასე ადვილი რომ იყოს საგარეო პოლიტიკაში გარღვევის მიღწევა, მით უმეტეს, რუსებთან, ოღონდ კვირიკაშვილი ჩავიდეს ჟენევაში და რუსები მაშინვე გამოქანდებიან, ყველაფერი ძალიან მარტივად იქნებოდა.

– კარასინი-აბაშიძის ფორმატი უნდა არსებობდეს თუ არა, ეს ფორმატი ხომ არ ამცირებს თუნდაც ჟენევის ფორმატს?

– აბსოლუტურად არ უშლის ეს ორი ფორმატი ერთმანეთს ხელს. კარასინი-აბაშიძის ფორმატის ფარგლებში სულ სხვა საკითხების განხილვა ხდება, ჟენევაში სხვა საკითხების. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ აქვს კვირიკაშვილს აჩემებული ჟენევის ფორმატის გაძლიერება. რატომ მიმართავს ის რუსეთს ამ ინიციატივით, ეს გაუგებარია, რადგანაც მაქსიმუმი, რისი მიღწევაც რუსეთთან შეიძლებოდა, ის მიღწეულია, ამაზე მეტს ვერ მივაღწევთ.

– რას გულისხმობთ?

– კონფრონტაცია დაცხრა. ამ ეტაპზე ომის საფრთხე მინიმუმზეა დასული. იმედია, ხვდებიან, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ასე მარტივი არ არის და გულისამაჩუყებელი ტექსტებით გამოსვლა ამას არ უშველის.

– პრემიერის მიმართვა რუსეთის ხელისუფლებისადმი მოუმზადებელი იყო?

– აბსოლუტურად კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი. ეს იყო სენტიმენტალური წერილი, რომელიც იყო სრულიად მოუმზადებელი, რომელსაც წინ არ უძღვოდა არანაირი საგარეო-დიპლომატიური სამუშაოები, ამიტომ ეს იყო უბრალოდ წყლის ნაყვა. რუსეთს რომ მიმართავ, დამეხმარე, კონფლიქტები მოვაგვაროთ – რუსეთი გვეუბნება, რომ კონფლიქტები დიდი ხანია მოგვარებულია. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და თუ გნებავთ, მათ ელაპარაკეთ. გაუგებარია, რისი იმედი აქვს ხელისუფლებას, რომ რუსეთი ამ პასუხს შეცვლის?!

– შესაძლებელია, რომ ტატუნაშვილის ფაქტი იყო ამ განცხადებების ერთგვარი დეტონატორი?

– მით უფრო გაუგებარია, ასე დაიმცირო თავი, მაშინ როდესაც, საქმე იქამდე მივიდა, რომ ცხედრის დაბრუნებას ვთხოვთ რუსეთს.

– ჟენევის ფორმატთან დაკავშირებით, საერთაშორისო პარტნიორებთან შეიძლება კონსულტაციები გავლილი იყოს, თუ შეიძლება ისი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თურქეთში ქართველი ოკუპანტებისგან გათავისუფლების 97 წელი აღნიშნეს“

„კვირიკაშვილმა ისეთი განცხადება გააკეთა, ივანე ჯავახიშვილი სირცხვილით საფლავში ტრიალებს“

შორენა მარსაგიშვილი

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სასწრაფოდ დაიბარეთ თურქეთის ელჩი და განმარტებები მოსთხოვეთ“

რატომ უწოდეს თურქებმა ქართველებს ოკუპანტები. რა მოხდა 7 მარტს ართვინში, რა განმარტებები უნდა გააკეთოს საქართველოში თურქეთის საელჩომ, რის გაკეთება ევალება ქვეყნის პარლამენტს და საგარეო საქმეთა სამინისტროს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– მიმდინარე წლის 7 მარტს თურქეთის ქალაქ ართვინში ქართველი ოკუპანტებისგან ქალაქის განთავისუფლების 97-ე წლისთავი აღნიშნეს. სწორედ 97 წლის წინ, 1921 წლის მარტის დასაწყისში, ქემალისტების მოთხოვნით, საქართველოს არმიის ნაწილებმა ართვინი დატოვეს.

იმავე დღეს ართვინის მუნიციპალიტეტში სპეციალური სხდომაც გაიმართა ამ თარიღთან დაკავშირებით, საღამოს ქუჩებში საზეიმო მსვლელობაც მოეწყო – ჩირაღდნებითა და თურქეთის დროშებით. ღონისძიებებში ართვინის მერმა, მუნიციპალიტეტის წევრებმა, თურქეთის გენშტაბის ნაწილებმაც მიიღეს მონაწილეობა.

საღამოს მიტინგზე გამოსვლისას ართვინის მერმა მეჰმედ კოჯატეპესმა განაცხადა: „დუშმანების (ქართველების) განდევნაში თურქმა ხალხმა უდიდესი ვაჟკაცობა და პატრიოტიზმი გამოამჟღავნა, დუშმანების (ქართველების) დამარცხებაში ჩვენ დიდი სისხლიც დავღვარეთ და თურქეთი არასდროს დაივიწყებს თავისი გმირი წინაპრების სახელს“.

ამ საზეიმო ღონისძიებებთან დაკავშირებით არაერთ თურქოლოგს ვესაუბრე. მათ მითხრეს, რომ მსგავსი ღონისძიება თურქებს არასდროს არ გაუმართავთ.

– ახლა რა ზეიმი აუტყდათ?

– ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა. გავეცანი თურქულ მედიასაც, სადაც ქართველი ოკუპანტებისგან გათავისუფლებისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები ფართოდ გაშუქდა. ნიშანდობლივია, რომ როცა ოკუპანტებს და დუშმანებს ახსენებენ, სიტყვას ქართველი არ ხმარობენ, რაც დიდი შეღავათი ნამდვილად არ არის. ყველამ კარგად იცის, რომ 97 წლის წინ ართვინში ქართული ჯარი იდგა და ეს ტერიტორია საქართველოს იურისდიქციაში შედიოდა.

ამ საზეიმო ღონისძიებების სულისჩამდგმელი ართვინის მერი მეჰმედ კოჯატეპესი იყო. ცოტა ხნის წინ ეს ადამიანი ბათუმს სტუმრობდა, სადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შეხვდა. ზურაბ პატარაიძემ მას დიდებული დახვედრა მოუწყო.

რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ართვინის მერი აჭარის რეგიონს საკმაოდ ხშირად სტუმრობს.

– რა მიზნით ჩამოდის ბათუმში?

– ართვინში გამართული საზეიმო ღონისძიებების შემდეგ, მისი მიზნების გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს. სხვათა შორის, იმ საზეიმო ღონისძიებაზე ისიც აღინიშნა, რომ 97 წლის წინ დუშმანებისგან ბათუმი და ქობულეთიც გათავისუფლდა, მაგრამ ახლა ისინი საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არისო.

აჭარაში ჩამოსული კოჯატეპესი კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე საუბრობს, ართვინში კი ქართველი ოკუპანტებისგან გათავისუფლებას ზეიმობს. ასეთ დროს რომელ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზეა საუბარი.

საზეიმო მიტინგზე თურქებმა სიტყვით რამდენიმე ლაზიც გამოიყვანეს. მათ განაცხადეს, ადრე ეს ტერიტორია კი იყო საქართველოსიო, მაგრამ 97 წლის წინ ბევრი რამე შეიცვალა, ჩვენ ახლა თურქეთს ვემსახურებით და ამ ქვეყნის ერთგულები ვართო.

ყველამ კარგად ვიცით, როგორ აღმოჩნდა ეს ტერიტორია 97 წლის წინ თურქეთის იურისდიქციაში. ბოლშევიკურმა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა მაშინ ზავი შეკრეს და ეს ტერიტორიები ისე გაიყვეს, საქართველოსთვის არაფერი უკითხავთ.

ართვინში გამართულ საზეიმო ღონისძიებებზე ამხელა ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ კარგად მახსოვს, რა მოხდა, როცა საქართველო დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადებას აპირებდა. დიდგორის ომში ქართველებმა სელჩუკები სასტიკად დაამარცხეს, რომლებიც დღევანდელი თურქების გენეტიკური წინაპრები არიან.

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ პარლამენტში დიდგორობის სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადებაზე მსჯელობდნენ, საკანონმდებლო ორგანოს სასწრაფო წესით დაუკავშირდა საქართველოში თურქეთის ელჩი. მან ქართველ დეპუტატებს მოსთხოვა, დიდგორობა არ იდღესასწაულოთო. ეს რომ ასე იყო, ეს დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამაც დაადასტურა.

მისი განცხადებით, თურქეთისთვის ეს დღე ტრაგიკული დღეა და უხერხული იქნებოდა, თუ საქართველო ამას სახელმწიფო დღესასწაულად გამოაცხადებდა. თუ დიდგორობის აღნიშვნის გამო ისინი უხერხულობაში ვარდებოდნენ, ჩვენ რატომ გვიწოდეს ოკუპანტები.

– ერთი მხრივ კარგია, ოკუპანტად რომ მოგვიხსენიებენ. სულ ჩვენი მიწების ოკუპაცია ხდება და ჯანდაბას, ერთხელ ჩვენც ვიყოთ ოკუპანტები.

– ნეტა მართლა ოკუპანტები ვიყოთ. თურქებისგან მაგალითი თუ აიღეს, ოკუპანტები, შესაძლოა, სომხებმაც გვიწოდონ და რუსებმაც.

– მაგათ რატომ უნდა გვიწოდონ ოკუპანტები?

– იმ მიწების ნაწილს, სადაც ეს ქვეყნებია, თავის დროზე საქართველო აკონტროლებდა.

– კარგი დრო იყო მაშინ – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ვიყავით გადაჭიმული.

– არც მაშინ ვიყავით ოკუპანტები. ეგ მიწები სულ ჩვენი იყო. თავად არიან ოკუპანტები და ქართული ოკუპაციისგან გათავისუფლებას აღნიშნავენ.

დიდგორობას დავუბრუნდები ისევ და ამ დღის აღნიშვნის აკრძალვა ვერავინ უნდა გაბედოს. პირველ რიგში კი თურქეთმა. ჩვენ მაშინ არავის ტერიტორიაზე არ შევჭრილვართ, დიდგორი იყო და არის ჩვენი მიწა და აქ გავუმართეთ შემოჭრილ სელჩუკებს ომი.

ჩვენს ტერიტორიაზე დავამარცხეთ მტერი და ამის აღნიშვნას გვიკრძალავენ. თავად ჩვენ წაგვართვეს მიწები და ამას ოკუპანტებისგან გათავისუფლებად თვლიან.

ის, რაც 7 მარტს ართვინში მოხდა, არის უკიდურესად არამეგობრული ნაბიჯი. ამის ასე დატოვება აღარ შეიძლება. პირადად მე ამაზე რეაგირებას ვაპირებ.

– რას აპირებთ?

– 13 მარტს ოფიციალურად მივმართავ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოვითხოვ თურქეთის ელჩის დაბარებას. თურქმა დიპლომატმა აუცილებლად უნდა გააკეთოს განმარტებები. ელჩმა ფატმა ჯერენ იაზგანმა აუცილებლად უნდა განგვიმარტოს, ვინ არის მისი ქვეყნისთვის მტერი, დუშმანი და ოკუპანტი.

ეს საზეიმო ღონისძიება კერძო პირებს რომ მოეწყოთ, ამხელა ყურადღებას არც მე მივაქცევდი, მაგრამ საქართველოსგან გათავისუფლების 97 წლისთავი თურქეთის სახელისუფლებო ელიტამ აღნიშნა, რაც საქართველოს შეურაცხყოფა და მისი სუვერენიტეტის შებღალვაა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს საქართველოს ტერიტორიები აქვს მიტაცებული, საქართველოს ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს ამ ქვეყნისთვის ოკუპანტი და დუშმანი არასდროს უწოდებია. მათ უკიდურესად დიპლომატიურად მოიხსენიებენ. დიპლომატიურად მოხსენიებას ვინ ჩივის, გიორგი კვირიკაშვილმა ისეთი განცხადება გააკეთა, მას მერე ივანე ჯავახიშვილი საფლავში ბრუნავს.

– რომელ განცხადებაზე საუბრობთ?

– კვირიკაშვილმა თურქეთს სტრატეგიული მოკავშირე და ისტორიული მეგობარი უწოდა. მას მერე ივანე ჯავახიშვილი სირცხვილით საფლავში ტრიალებს. იგივე დღეში არიან სხვა ქართველი ისტორიკოსები.

ხედავთ რა, ხდება? ჩვენი მთავრობის მეთაური, ოღონდ თურქეთს არ აწყენინოს და ისტორიას ამახინჯებს. ისინი კიდევ ოკუპანტებს გვეძახიან.

ეს იცით, რისი ბრალია? ჩვენი პოლიტიკოსები და არასამთავრობოები თურქების ანტიქართულ გამოხდომებს სათანადოდ არ პასუხობენ. ამ მხრივ გამონაკლისი პატრიოტთა ალიანსია.

ჩვენ თავის დროზე დავით ოღლუს განცხადება გავატარეთ, რომელმაც თქვა, ოსმალეთის იმპერია უნდა აღვადგინოთო. ჩვენ ასევე გავატარეთ ერდოღანის განცხადება, როცა მან თქვა, ბათუმი და აჭარა ჩვენი გულიაო. არაფერს ვამბობთ იმაზე, საზღვარს როცა უნდა, მაშინ რომ გვიკეტავენ.

ათასი შეურაცხყოფა მიაყენეს ჩვენს ქვეყანას და ეგენიც გავატარეთ. ახლა დუშმანები და ოკუპანტები გვიწოდეს და არც ამაზე ვიღებთ ხმას. მაინტერესებს, სადამდე უნდა ვიყოთ ჩუმად?!

წარმომიდგენია, რა მოხდებოდა, სოჭის ქართველებისგან გათავისუფლების აღმნიშვნელი საზეიმო ღონისძიებები რომ გაემართა რუსეთს. მოღალატე არასამთავრობოები ქვეყანას შეყრიდნენ.

– რუსებმა აფხაზეთის და სამაჩაბლოს „გათავისუფლების“ საზეიმო ღონისძიებებში ბევრჯერ მიიღეს მონაწილეობა.

– გასაგებია, მაგრამ მათ ხომ არ აღუნიშნიათ სოჭის ქართველებისგან გათავისუფლება. ის, რაც 7 მარტს ართვინში მოხდა, იყო უკიდურესად არამეგობრული ჟესტი. საქართველოს პარლამენტმა კეთილი ინებოს და მოითხოვოს ამაზე პასუხი.

დავით ოღლუს განცხადებას, რომელიც ოსმალეთის იმპერიის აღდგენაზე საუბრობს, საბერძნეთსა და ბულგარეთში უკიდურესად მწვავე განცხადებები მოჰყვა. ჩვენ რატომ არ ვიღებთ ამაზე ხმას? ჩვენ ხომ სტრატეგიულ მოკავშირედ მიგვაჩნია თურქეთი და მათზე ცუდი რამე რომ თქვა, იქეთ დაგბლოკავს საქართველოს ხელისუფლება.

ძალიან ცუდად იქცევა ჩვენი მოღალატე მედიაც. ართვინის ამბავი თითქმის არავინ გააშუქა.

– რომ გაეშუქებინათ, ამის შესახებ ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ.

– ინფორმაციის მოპოვება მათი საქმეა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინფორმაცია მათ ჰქონდათ, მაგრამ არ გააშუქეს.

ართვინში გამართული ღონისძიებების შესახებ მე ინფორმაცია ჩემმა მეგობარმა მომაწოდა. ის უცხოური მედიის მკვლევარია. ართვინის ზეიმის შესახებ ტექსტი მესენჯერში ჩამიგდო.

რამდენიმე საათში ეს ინფორმაცია გაქრა როგორც ჩემი მესენჯერიდან, ასევე ჩემი მეგობრის მესენჯერიდან.

– რანაირად გაქრა?

– არ ვიცი, გაქრა და მორჩა. დარწმუნებული ვარ, ეს თურქეთის სპეცსამსახურებმა გააკეთეს. მათ აღრიცხვაზე ვყავართ ის ხალხი აყვანილი, რომლებიც თურქეთს ვამხელთ.

ჩვენი მეზობელი სერიოზულ ექსპანსიაზე გადავიდა. ჩადით და ნახავთ, რა ხდება აჭარაში. რამდენიმე ათეული წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ აფხაზეთს და სამაჩაბლოს ჩამოგვაცილებდნენ. მაგრამ ეს მოხდა. ასევე მოხდება აჭარაშიც. ახლავე უნდა დავიწყოთ მოქმედებები.

ახლა თოფით და ტანკით არავინ შემოვარდება. დაპყრობა ეკონომიკით მიდის. ეკონომიკურად აჭარა მათი საკუთრებაა უკვე.

ერთმა ამბავმა ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენა. რამდენიმე ხნის წინ თურქეთმა ოფიციალურად გამოაქვეყნა სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც, გასულ წელს 557-მა თურქმა იქორწინა საქართველოს მოქალაქეზე. თურქები ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოში მოიკიდონ ფეხი. ეს ქორწინებებიც იმაზე მიუთითებს, რომ თურქებს ექსპანსია აქვთ დაწყებული.

– ამ შემთხვევაში სიყვარულით ქორწინების არ გჯერათ?

– კარგით რა, რისი სიყვარული. ძალიან მძიმე ვითარებაა და სასწრაფოდ თუ არ ვიღონეთ რამე, ჩვენს ძირძველ მიწას წაგვართმევენ. მერე ამასაც იზეიმებენ და იტყვიან, აჭარა ქართველი ოკუპანტებისგან გავათავისუფლეთო.

მოვუწოდებ საქართველოს საგარეო უწყებას და პარლამენტს, სასწრაფოდ დაიბარონ თურქეთის ელჩი და განმარტებები მოსთხოვონ.

თორნიკე შარაშენიძე: „რუსეთს დიპლომატიურად ვერ გავარღვევთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნი საქმის კურსში არც არიან?

– მე მგონია, რომ საერთაშორისო პარტნიორებს უთხრეს, რომ გვინდა ჟენევის ფორმატის აწევა და პრემიერ-მინისტრი მზად არის, ჟენევაში ჩავიდეს. არ გამოვრიცხავ, რომ საერთაშორისო პარტნიორებმა უთხრეს: რატომაც არა, მოსინჯეთ. კი ბატონო, ჩავიდეს, მაგრამ მხოლოდ ჩასვლა და განცხადების გაკეთება ხომ არ არის საკმარისი, მანამდე სამუშაოები ხომ არის ჩასატარებელი.

– ექსპერტების მხრიდან ასეთი შეფასებებიც გამიგია, რომ ჟენევის ფორმატი მკვდრად შობილია. ამდენი წელია, არსებობს, მაგრამ იქ შედეგი არ იდება.

– ჟენევის ფორმატი არის ის ფორმატი, რომელიც ჩვენ გვინდა, რომ არსებობდეს, რადგანაც რუსეთს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, მოკავშირეებთან ერთად ველაპარაკებით. თუმცა, ჟენევის ფორმატში არანაირი სერიოზული გარღვევა არ მოხდება. რუსეთი ყოველთვის შეეცდება, რომ ჟენევის ფორმატი იყოს ჩვეულებრივი რუტინა, რომელსაც შედეგად არაფერი მოჰყვება. რუსეთი არის დესტრუქციული და თავიდანვე მისი მიდგომა ჟენევის ფორმატის მიმართ სწორედ ასეთი იყო, რადგან რუსეთს არანაირი გარღვევა არ აწყობს. ამიტომ ვამბობ, რომ გაუგებარია, რისი იმედი აქვს კვირიკაშვილს, რომ იქ მიდის?!

– რა უნდა შეიცვალოს, რომ გარღვევა მოხდეს, ხომ ფაქტია, რომ მართლაც ერთ ადგილზე იტკეპნება ეს ყველაფერი?

– ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს დემოკრატიას, ამ მიმართულებით უნდა გავძლიერდეთ. ქვეყანა უნდა წავიდეს წინ. რუსეთს არსად არ ეჩქარება, მიაჩნია, რომ დრო მასზე მუშაობს, იმიტომ, რომ საქართველო რაღაცნაირად გაიჭედა. საქართველოს ეკონომიკური განვითარება დაიწია, დაიწია საქართველოს დემოკრატიული განვითარება. ამ სიტუაციაში ქვეყანაში ნიჰილისტური განწყობები უფრო მძლავრობს და როდესაც ქვეყანაში ნიჰილისტური განწყობები მძლავრობს, ის უფრო ძალადობისკენ მიდის ანუ ავტომატურად უფრო რუსეთისკენ მიდის. ამიტომ, რაში აწყობს რუსეთს, რომ გარღვევა მოახდინოს და დათანხმდეს იმას, რაც საქართველოს აწყობს, რაც საქართველოს შედეგს, წარმატებას მოუტანს.

ამიტომაც, ჩვენი მთავარი საფიქრალი და გამოსავალი არის ეკონომიკური და დემოკრატიული გაძლიერება და არა – დიპლომატიაში გარღვევა, თან რუსეთთან. ერთი, ვერ გავარღვევთ ვერანაირად, რადგან საქმე რუსეთთან გვაქვს და მეორე, ტალეირანები, სამწუხაროდ, არ გვყავს, რომ დიპლომატიაში სასწაულები მოახდინონ.

„მოწმე გოდერძი ჯოლოხავას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“

რატომ უთხრა მას უარი პროკურატურამ მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასმაზე

შორენა მარსაგიშვილი

გოდერძი ჯოლოხავა, რომლის ჩვენებებიც 2013 წელს ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა, მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასმას ითხოვს.

ამ მოთხოვნით მან გუშინ, 12 მარტს მიმართა მთავარ პროკურატურას, თუმცა საგამოძიებო უწყებამ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

რამდენიმე დღით ადრე კი ჯოლოხავამ ტელეკომპანია რუსთავი 2-თან საუბარში იმ სქემაზე ისაუბრა, თუ როგორ მიაცემინეს მას ცრუ ჩვენებები ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძის, დავით საყვარელიძის და სხვა ჩინოსნების წინააღმდეგ.

გოდერძი ჯოლოხავამ დახმარებისთვის სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრსაც მიმართა. გუშინ, 12 მარტს პროკურატურაში ჯოლოხავა სწორედ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიყვანეს.

იმის გამო, რომ ჯოლოხავას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ის დილის 7 საათზე წამოიყვანეს სახლიდან.

როგორც სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, დილით მისვლა მათ თავად მოწმემ სთხოვა.

წინა დღეს „ახალ თაობასთან“ საუბარში კუპრავა არ გამორიცხავდა, რომ რაღაც პროვოკაციებს ექნებოდა ადგილი. ის ასევე იმედოვნებდა, რომ მოწმეს დააკავებდნენ. ამის სურვილი ჯოლოხავასაც ჰქონდა. ის მიიჩნევს, რომ ყველაზე უკეთ მისი უსაფრთხოება ციხეში იქნებოდა დაცული.

პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია, თუმცა პროკურატურას არც მისი დაკავების სურვილი გასჩენია. არადა, როგორც ზვიად კუპრავა ამბობს, ცრუ მოწმემ მის მიერ ჩადენილ არაერთ დანაშაულზე მიაწოდა საგამოძიებო უწყებას ინფორმაცია.

ცრუ მოწმის დაკითხვა ირაკლი შოთაძის უწყებაში საკმაოდ დიდი ხანი გაგრძელდა.

– 8-საათიანი უწყვეტი დაკითხვის პირობებში, მოწმე ჯოლოხავამ 10 სხვადასხვა ეპიზოდზე მისცა გამოძიებას ჩვენება, სადაც სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები ძალადობდნენ მასზე, ცრუ ჩვენებების მიცემის მიზნით.

ის თავშესაფარს სახალხო დამცველის ოფისში ითხოვს

დღეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანია: 1. მისი ფიზიკური უსაფრთხოება და 2. რაც შეიძლება ინტენსიურად გაგრძელდეს გამოძიება.

მოწმე ჯოლოხავა მზად არის გამოძიებასთან ბოლომდე თანამშრომლობისთვის, – განაცხადა ჩვენთან საუბარში კუპრავამ.

მისივე ინფორმაციით, საგამოძიებო უწყებამ ჯოლოხავას მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართვაზე უარი უთხრა.

იმ შემთხვევაში, თუ მოწმის დაკავება არ მოხდებოდა, გოდერძი ჯოლოხავა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აპირებდა საუბარს. ეს საუბარი გუშინ, 12 მარტს ვერ შედგა, რადგანაც გიორგი მარგველაშვილი ამერიკაში გაემგზავრა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის გარდა, დაგეგმილი იყო მისი მისვლა სახალხო დამცველის ოფისში. ჯოლოხავა იქაც აპირებდა ყველაფრის მოყოლას.

იქ მისასვლელად მას სხვა მიზეზიც ჰქონდა. როგორც ზვიად კუპრავამ წინა დღეს ჩვენთან საუბარში განაცხადა:

– ჯოლოხავა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად სახალხო დამცველის ოფისში აპირებს ცხოვრებას.

არასამთავრობო ორგანიზაციამ პროკურატურიდან სახალხო დამცველის ოფისში მიიყვანა. იმის გამო, რომ საგამოძიებო უწყებაში დაკითხვა დიდხანს გაგრძელდა, ომბუდსმენის ოფისში, დაცვის გარდა აღარავინ დახვდათ.

– რაც არ უნდა მოხდეს, მოწმე აქ დარჩება. მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და დერეფანშიც რომ დასჭირდეს ღამის გათენება, ამას გააკეთებს, – აღნიშნა კუპრავამ.

ვახტანგ მაისაია: „რუსეთის მიერ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის გაჯანჯლება მისი ბარბაროსობის მაჩვენებელია“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთის პოლიტიკა კვლავ არის ველიკოდერჟავული. რუსეთი კვლავ აჩვენებს, რომ მას აქვს ძალა. ძალა კი აღმართს ხნავს. რუსეთს არ უნდა, დაადასტუროს, რომ მის ციხეებში ადამიანებს წამებით კლავენ და რომ არჩილ ტატუნაშვილი, ფაქტობრივად, რუსულ ციხეში მოკლეს..

– დასავლეთის ქვეყნები, ქართველი საზოგადოება, საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს საპატრიარქო მოუწოდებენ რუსეთს, ცხედარი გადმოგვცეს, მაგრამ რუსეთს არაფერი ესმის. ეს რა პოლიტიკაა?

– რუსეთის პოლიტიკა კვლავ არის ველიკოდერჟავული. რუსეთი კვლავ აჩვენებს, რომ მას აქვს ძალა. ძალა კი აღმართს ხნავს. მეორე – რუსეთს არ უნდა, დაადასტუროს, რომ მის ციხეებში ადამიანებს წამებით კლავენ. არავინ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს. რომ არჩილ ტატუნაშვილი რუსული პენიტენციალური სისტემის ეგიდით მართულ ციხეში მოკლეს.

გარკვეული პერიოდის წინ ცხინვალის მთელი მარიონეტული რეჟიმის ძალოვანი სტრუქტურა გადავიდა რუსეთის ძალოვანი სტრუქტურის სათანადო ინსტიტუტების დაქვემდებარებაში. მათ შორის, ე.წ. შს სამინისტრო გადავიდა რუსეთის შს სამინისტროს დაქვემდებარებაში. თავდაცვის სისტემა გადავიდა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. პენიტენციური სისტემის ცხინვალში მოქმედი ციხეები კი დაექვემდებარა რუსეთის იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, ხაჩიროვს, რომელიც, გონივრული ეჭვის საფუძველზე, არის არჩილ ტატუნაშვილის მკვლელი, ეცვა რუსული სამხედრო ფორმა. ამდენად, ტატუნაშვილი მოკლეს არა სეპარატისტული რეჟიმის ციხეში, არამედ რუსეთის ფედერაციის ციხეში, ისევე, როგორც თავის დროზე მაგნიტსკი.

სწორედ სერგეი მაგნიტსკის მკვლელობამ გააჩინა პირველი ბზარი დასავლეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის. პირველი სანქცია რუსეთს სწორედ სერგეი მაგნიტსკის ციხეში მკვლელობასთან დაკავშირებით დაუწესეს. ტატუნაშვილის მკვლელობა კიდევ ერთი დანაშაულია, რომელიც ჩადენილ იქნა რუსულ ციხეში. რუსეთი და მისი ცხინვალელი მარიონეტები ყველანაირად ცდილობენ წამების კვალი წაიშალონ და მერე მოხდეს ცხედრის გადმოცემა ისე, რომ არ დაფიქსირდეს ამ პოლიტიკური მკვლელობის შედეგები.

– მკვლელობა ერთია, ცხედრის ოჯახისთვის გადმოუცემლობა – მეორე. საქართველოს პატრიარქიც კი გააწბილეს. რუსეთის პატრიარქი კი პუტინისა და კრემლის მარიონეტად გამოჩნდა.

– ყველაფერი კრემლის პოლიტიკაზეა დამყარებული. რუსეთში ერთ კვირაში საპრეზიდენტო არჩევნები იქნება და, როგორც ჩანს, ესეც ერთგვარი ძალის დემონსტრირებაა, თუნდაც იგივე ურჩი რესპუბლიკების მიმართ. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას რუსეთის ასეთი ძალადობრივი ქმედებები.

– რას იტყვით კვირიკაშვილის განცხადებაზე?

– მიკვირს, რატომ აკრიტიკებენ კვირიკაშვილს. კვირიკაშვილი ჰუმანიტარული მოსაზრებიდან გამომდინარე გავიდა რუსეთის ხელმძღვანელობაზე და რუსეთის ხელმძღვანელობას ამ ფორმით მიმართა, ცხედარი გადმოეცათ. ის ცდილობს, თითოეული მოქალაქის ღირსება დაიცვას თუნდაც საკუთარი პოლიტიკური ღირსების გზითაც. კვირიკაშვილის მიერ ასეთი განცხადების გაკეთება იოლი და მარტივი არ იყო.

– კავშირზე გავიდა, ანუ კვირიკაშვილი რუსეთის ხელმძღვანელობასაც დაუკავშირდა და მხოლოდ განცხადება არ გაუკეთებია?

– მიმართვა გააკეთა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას მიეღო ჰუმანური გადაწყვეტილება ცხედრის გადმოცემასთან დაკავშირებით. რუსეთი მტერია თუ რაც არის, ცხედრის გადმოცემა უნდა მოხდეს. ჩვენ გადმოგვცეს ის ცხედრები, რომლებიც დაიღუპნენ ბაბუშერაში თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად. ჩვენ გადმოგვცეს მათი ცხედრები, რომლებიც დაიღუპნენ სოხუმში მინისტრთა საბჭოს აღების დროს. ისინი არაკაცურად მოკლეს. მაგალითად, შარტავა, გაბესკირია, ალასანია და ის 28 გმირი ქართველი, რომელიც ჰუმანიტარული სამართლის ყოველგვარი წესების დარღვევით დახვრიტეს აფხაზმა თუ ჩრდილოეთ კავკასიელმა გადამთიელებმა. ამდენი წლის შემდეგ მათი ცხედრები ჭირისუფლებს გადმოეცათ. ეს ვერ მოხდებოდა, რომ არა პირდაპირი კავშირი აფხაზეთის შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლებთან.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ პუტინი არჩევნების დასრულებას ელოდება და არჩევნების შემდეგ გადმოგვცემენ?

– ვერ გეტყვით. არჩილ ტატუნაშვილი მოკლეს და ახლა გვამზე მტკიცებულებების ნაკვალევის წაშლას ელოდებიან. რუსული მხარის მიერ ცხედრის გადმოცემის გაჯანჯლება მისი ბარბაროსობის მაჩვენებელია.

– კვირიკაშვილის მიმართვამ პირდაპირი მოლაპარაკების თაობაზე, საქართველოში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, რუსეთმა კვირიკაშვილის განცხადება როგორ მიიღო?

– იქ მოლაპარაკებაზე არ არის საუბარი. კვირიკაშვილმა მიმართა კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. არა მგონია, გიორგი კვირიკაშვილს ეთქვა, რომ პირდაპირი დიალოგი დაწყებულიყო თბილისსა და მოსკოვს შორის სხვა საკითხზე, რომელიც, დავუშვათ, წლების განმავლობაში ორ სახელმწიფოს შორის გაჩნდა. აქ საუბარია ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით.

– თქვენ კვირიკაშვილის განცხადება ასე გაიგეთ? ექსპერტები გამოდიან და ზოგად სტილში განიხილავენ დიალოგის შეთავაზებას.

– ვინ როგორ განიხილავს, მისი საქმეა. მე როგორც გავიგე, ისე ვაფიქსირებ, რომ კვირიკაშვილმა, ფაქტობრივად, დააყენა საკითხი, ტატუნაშვილის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით მომხდარიყო დიალოგის წარმოება.

– კვირიკაშვილმა პირდაპირ განაცხადა, მზად ვარ დავიწყო დიალოგი რუსეთის ხელისუფლებასთან, აფხაზებსა და ოსებთანო, ეს არ ნიშნავს ზოგად პრობლემებზე ყურადღების მიპყრობას?

– განცხადება არის ყურადღების მიპყრობა სწორედ იმ პრობლემაზე, რაც დღეს არსებობს და არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით პირდაპირი კავშირების დამყარება მომხდარიყო აფხაზურ-ოსურ და აფხაზურ მხარესთან. აფხაზური მხარეც იგულისხმება, როგორც ოსური მხარის სტრატეგიული პარტნიორი, რომ ზეგავლენა მოახდინოს რუსულ მხარეზე ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით.

– ქვეყანა, რომელიც ერთი ქართველის ცხედარს არ გიბრუნებს, შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ თავისი ნებით, მშვიდობიანად, მოლაპარაკებების გზით, ოკუპირებულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს?

– არსებობს უტოპიური სცენარიც და პოლიტიკაში არსებობს ისეთი სცენარიც, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეიძლება გახდეს რეალური. 1993 წლის 27 სექტემბერს ჩვენი თანამოქალაქეები მხეცურად მოკლეს და მათი ცხედრები ქართულ მხარეს ახლა გადმოგვცეს. სამწუხარო რეალობაა. მახსოვს, 1993 წელსაც ცხედრების გადმოცემასთან დაკავშირებით დიდი მოლოდინები იყო. პროცესში ჩართული იყო ბორის პასტუხოვი. ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის იძულებით კარგი ურთიერთობა იყო. საქართველო ძალით შევიდა დსთ-ის შემადგენლობაში, შეცვალა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია, საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში მოვიდნენ პრორუსი პოლიტიკური გავლენის მქონე პოლიტიკოსები. ჩვენ გვყავდა ვიცე-პრემიერი და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც უფრო მეტად რუსეთიდან იმართებოდნენ, ვიდრე საკუთარი ქვეყნის მეთაურის კაბინეტიდან, მაგრამ მაშინაც კი არ გადმოგვცეს ცხედრები.

კვირიკაშვილის განცხადებას წინ უძღოდა სიტუაცია, როდესაც პარლამენტმა ერთიანი რეზოლუცია დღემდე ვერ მიიღო. წარმოიდგინეთ კვირიკაშვილის მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ორგანო, პარლამენტი, ერთიან დოკუმენტს ვერ ღებულობს. პარლამენტშიც არ არის ერთიანობა. საზოგადოებაც ერთიანი არ აღმოჩნდა. ტატუნაშვილის მკვლელობის გამო საპროტესტო აქციები იმართებოდა. ამ დროს ზოგიერთი მომიტინგე რუსულ დროშას აფრიალებდა, გიორგიევსკის ბანტებით ატარებდა დემონსტრაციას. სიტყვის თავისუფლებას პატივს ვცემ, ყველას აქვს თავისი აზრის დაფიქსირების საშუალება, მაგრამ როცა ასეთ მძიმე პერიოდში გამოდიხარ და რუსულ პოზიციას ემხრობი, მოსაწონი არ არის.

ამ მომენტში ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწეები მოსკოვში იყვნენ კონცერტის ჩასატარებლად. ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ რაღაც ელემენტის გამოხატულებაც საჭიროა, როცა საქმე ქვეყნის, ოჯახის, იმ ადამიანის ტრაგედიას ეხება, როცა ჭირისუფალი ცხედარს ვერ მარხავს. ქრისტიანული წესების სრული დაცვით, ვერ ახერხებენ ცხედრის დამარხვასა და პატივის მიგებას. ეს არის ტრაგიკული მოვლენა, მაგრამ აქაც, სამწუხაროდ, ჩვენ ერთიანობას ვერ ვავლენთ. აი, რა არის ქვეყნის მთავარი პრობლემა. მხოლოდ რუსეთის, კრემლის და რუსული პოლიტიკური ვანდალიზმის განხორციელება არ არის ჩვენი პრობლემა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ კრემლის გავლენები საქართველოში ჯერ კიდევ დიდია?

– მე ვაფიქსირებ ფაქტს, დანარჩენზე დასკვნა მკითხველმა გამოიტანოს.

დიდ დიღომში 27 წლის კაცის ცხედარი იპოვეს

თბილისში, დიდ დიღომში, 27 წლის კაცის ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილი მეგობრებმა რამდენიმე დღის წინ გაქირავებულ ბინაში აღმოაჩინეს.

ადგილობრივების თქმით, მეგობრებმა საცხოვრებელი სახლის კარი მას შემდეგ შეამტვრიეს, რაც ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, მეგობარი მათ ზარებს არ პასუხობდა.

მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ნანი ბრეგვაძე ტატუნაშვილის მკვლელობის გამო მოსკოვში კონცერტს აუქმებს?

ნანი ბრეგვაძემ შესაძლოა მოსკოვში დაგეგმილი კონცერტი გააუქმოს.

მომღერლის შვილმა „იბერიას“ უთხრა, რომ 28 მარტს დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

– ვერაფერს გპასუხობთ. შესაძლოა გადაიდოს, ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. არ ვიცით, რა ვქნათ. ჩვენც ვფიქრობთ, – განაცხადა ტელეკომპანია „იბერიასთან“ ეკა მამალაძემ.

28 მარტს მოსკოვში, ჩროცუს ჩიტყ ცალლ-ში ნანი ბრეგვაძის საიუბილეო კონცერტია დაგეგმილი.

მინისტრის პრინციპული გადაწყვეტილება ბანკების წინააღმდეგ

ქართულ პოლიტიკაში ახალი სახეების გამოჩენამ არა მხოლოდ ინტერესი, არამედ დიდი ვნებათაღელვაც გამოიწვია ქვეყნის მმართველ გუნდში. კულუარებიდან გამოსულ ხმებს თუ დავუჯერებთ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ ამჟამინდელ მთავრობაში მყოფ მსხვილი ბიზნესის ლობისტებს წინააღმდეგობა გაუწია და შეუმჩნევლად დიდი საქმე გააკეთა.

ესტონური მოდელი, რომლის დანერგვაც ჩვენი ეკონომიკისათვის ნამდვილად მხოლოდ კარგის მომასწავებელია. უდაოდ ყველა ჩვენთაგანისთვის მხოლოდ დადებითი ცვლილება იყო, რაც ფინანსურ ინსტიტუტებსაც (ბანკები, ლომბარდები, მიკროსაფინანსოები და ა.შ) 2018 წლიდან უნდა შეხებოდათ. გავიგეთ, რომ ეს პირობა ბანკებისთვის გუნდიდან მიუციათ, რაც უდავოდ უკვე საკმაოდ მომგებიან და ხალხის ზარალზე აწყობილ ბიზნესს კიდევ უფრო დიდ სამოქმედო არეალს გაუხსნიდა.

ამბავი კი ასეთია, ფინანსთა სამინისტროს ახალი რეფორმების გამოცხადების შემდეგ გამოჩნდა, რომ ესტონური მოდელის ამოქმედებამ ფინანსური ინსტიტუტებისთვის 2023 წლამდე გადაიწია. ამ ცვლილებების ინიციატორი კი მინისტრი მამუკა ბახტაძე გახლდათ, რომელმაც პრინციპული პოზიციით, ბანკებისაგან წინააღმდეგობების მიუხედავად, პროექტის ინიცირება იმ ფორმით მოახდინა, რა ფორმითაც ბანკებს ნამდვილად არ სურდათ.

ბახტაძის ამ ინიციატივას და პოზიციას, რა თქმა უნდა, გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. გამოვიდა, რომ ბახტაძე, რომელიც ცალსახად მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწევას ცდილობს ეკონომიკაში, დაუპირისპირდა მსხვილი ბიზნესის ერთგვარ კარტელს. ფინანსთა მინისტრმა „გამოსული“ საქმე ჩაუგდო იმდროინდელ ინიციატორებს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ეს პროექტი მივიღეთ იმ სახით, რა სახითაც ახლა ვხედავთ, მსხვილი ბანკები დაელოდებიან 2023 წელს.

მამუკა ბახტაძის მიერ ინიცირებული რეფორმების გაცნობის შემდეგ ერთი დასკვნა გამოვიტანე, კურსი ნამდვილად სახალხოა, მცირე და საშუალო ბიზნესზე მიმართული, რაც იმედის მომცემი ფაქტია. რა ამბებიც მოდის ჩემამდე და რასაც ვუყურებ, ბახტაძე სწორედ და სტრატეგიულად მიდის წინ. ამას ისიც ემატება, რომ მმართველი გუნდის რამდენიმე წევრი დაუპირისპირდა ბახტაძეს ზემოთ ხსენებული ამბების გამო.

სანამ საზოგადოება ბჭობს იმაზე, რომ თუ ვინ იქნება შემდეგი პრემიერი, ზერელე ნაცნობებსა და აფილიაციებზე გამოკიდებას, ვფიქრობ, ჯობია, დავუფიქრდეთ, რა კულუარული მოქმედებები ხორციელდება და ვინ იჩენს მტკიცე საპრემიერო ხასიათს. ჭორები ხანდახან ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნებისკენ გვიბიძგებს. აქ კი დასკვნა მხოლოდ ერთია. ეს კანდიდატი საზოგადოების უჩუმრად დიდ საქმეებს აკეთებს.

გიორგი ხაბეიშვილი

ვინ ჩაითრია გიორგი კვირიკაშვილი ანტიამერიკულ კამპანიაში?

მარიამ მჭედლიშვილი

მირიან მირიანაშვილი: „საქართველოში პოლიტიკური კლასი იცვლება“

რატომ ვერ ხერხდება საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა მმართველ პარტიაში

გრძელდება ვნებათაღელვა პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის მიმართვაზე რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მიმართ. „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება სხვა მოვლენების ჭრილში უნდა განვიხილოთ. ამას წინ უძღოდა ტრაგიკული მოვლენები ცხინვალის რეგიონში. ცხინვალის რეგიონს, ე.წ. სამხრეთ ოსეთს ძალოვანი სტრუქტურები ფაქტობრივად არ ჰყავს. ისინი შარშანდელი შემოდგომიდან იურიდიულადაც რუსეთის შესაბამისი ორგანოების დაქვემდებარებაში იმყოფებიან. ქართველი ოფიცერი აწამეს და მოკლეს რუსეთის წარმომადგენლებმა. ცხინვალის რეჟიმს ამასთან შეხება არ აქვს. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. გიორგი კვირიკაშვილს თბილისში ერთმა კაცმა ურჩია, გაეკეთებინა ეს განცხადება. ის დააჯერეს, რომ ქვეყნისთვის ასე აჯობებს.

– რუსეთს ამით უნდა, რომ საქართველოს პოზიციები დაათმობინოს?

– ამ მიზნებზე ვრცლად საუბარი მომიხდება. რუსეთის გეგმის ნაწილია როგორც კვირიკაშვილის მიმართვა, ისე ის აქტივობა, რომელიც ამას მოჰყვა.

– სხვების აქტივობა, ძირითადად, კვირიკაშვილზე შეტევაში გამოიხატა.

– ჩანაფიქრი სწორედ ასეთია. რუსეთიდან მართულმა ფსევდოდასავლურმა პარტიებმა დაიწყეს გამოსვლები კვირიკაშვილის წინააღმდეგ და მისი დადანაშაულება პროროუსულობაში. ეს ერთიანი საინფორმაციო შეტევაა.

– მთავარი მიზანი რა არის? კვირიკაშვილი გადადგომას ისედაც აპირებდა.

– მიზანი რამდენიმეა. რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობების დალაგება არ აქვს განზრახული. საპრეზიდენტო არჩევნების წინ რუსებს საამისოდ არც დრო აქვთ და არც – სურვილი.

– საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთში მალე ჩაივლის.

– შედეგიანი დიალოგი კრემლს არც მერე უნდა. თუმცა, იქნება ფორმალური დიალოგის მცდელობა. ესაა ამ დავიდარაბის ერთ-ერთი ამოცანა. რუსეთს ესაჭიროება დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება. საქართველოსთან კონტაქტებით მოსკოვი არჩევნების შემდეგ დასავლეთს მოიმადლიერებს. კიდევ ერთი მიზანი კვირიკაშვილის დისკრედიტაციაა. მთავარი ამოცანა უფრო ღრმაა – რუსეთი საქართველოს დათმობას აპირებს და ამისთვის ნიადაგს წინასწარ იმყარებს. თუ საქმე საქმეზე მიდგა, რუსეთი გავა, მაგრამ – ფიქტიურად. ასე ის მოიქცა 1918-21 წლებში, ასევე 1990-იან წლებში.

– საქართველოს პოლიტიკურ ველს არაფერი ეშველება? თქვენივე განცხადებით, ჩვენს პოლიტიკურ სისტემას მოსკოვი განაგებს.

– ის, რაც ხდება, სწორედ მოსალოდნელი პოზიტიური ცვლილებების დასაწყისი და ერთი ეპიზოდია. თუ ადრე აშშ თვალს ხუჭავდა რუსეთის გავლენებზე საქართველოში და კრემლის მიერ „შემოგდებულ“ ფსევდოდასავლურ კადრებზე ხელისუფლებასა და ოპოზიციაში, დღეს ვაშინგტონი ბევრად უფრო შეუვალია. ალასანიას ტიპის ლიდერების დრო წავიდა. ირაკლი ალასანიას უწოდებდნენ პროდასავლელ პოლიტიკოსს იმ დროს, როცა უშიშროების აკადემია ჰქონდა რუსეთში დამთავრებული.

– რუსეთი სხვებს ეძებს?

– რუსეთი ახალი ტიპის კადრების შერჩევითაა დაკავებული. საქმე ისაა, რომ აშშ ამ კადრებს არ იწონებს. ვოლკერი აშშ-ის მხრიდან და სურკოვი რუსეთის მხრიდან ერთმანეთს ხშირად ესაუბრებიან უკრაინის პრობლემაზე. ამ შეხვედრებისას სურკოვი ვოლკერს აცნობს დაახლოებით 80-კაციან სიას, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური სივრცე უნდა შეავსოს. ბევრი მათგანი ახალი სახეა. კურტ ვოლკერი რუსების შემოთავაზებებს არ იღებს. თვეზე მეტია, რაც საქართველოს კურირება ვოლკერს დაევალა. იგი მთავარი საქართველოს კურატორი იქნება მაშინაც, როცა საქართველოში აშშ ახალ ელჩს მოავლენს. ვაშინგტონი არ აპირებს მოსკოვთან დისკუსიების გამართვას კადრებზე, მით უმეტეს, ამ საკითხზე გარიგებას. ამის გამო „ქართული ოცნება“ ვერ წყვეტს საპრეზიდენტო კანდიდატის საკითხს.

– სახელდება სხვადასხვა კანდიდატები.

– სახელდება კიდეც და ამერიკულ მხარესაც ეცნობება, მაგრამ იქიდან თანხმობა არ ჩანს. გახმიანდა ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურა, რასაც არანაირი ინტერესი ამერიკის მხრიდან არ ჰქონია. გაიჟღერა ზურაბიშვილის, წულუკიანის, ჩუგოშვილის გვარებმა. ამ სამიდან არც ერთი არ არის დაკავშირებული რუსეთთან, ყოველ შემთხვევაში, ღიად. მოსკოვი დღეს სწორედ ამ ტიპის კანდიდატურებს არჩევს, ვაშინგტონი კი დუმს.

– ამ დუმილს და უთანხმოებას რა დასასრული ექნება?

– შესაძლოა, ამან მიგვიყვანოს პოლიტიკურ კრიზისამდე. ოღონდ, ეს კრიზისი საბოლოოდ სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის. ფინალში მივიღებთ პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური ველის ძირფესვიან შეცვლას.

– და რუსეთიდან მართული სახეების წასვლას?

– ცხადია. იმისთვის, რომ ეს პროცესი უფრო რბილად განხორციელდეს, გამოიყენება პოლიტიკოსების ერთმანეთზე გადაკიდების ხერხი. კვირიკაშვილის დისკრედიტაცია ამის ნაწილია. ამ მხრივ დღევანდელი ვითარება ჰგავს იმას, რაც გვქონდა 1991 და 2002 წლებში. მაშინდელი აგენტურა ერთმანეთს წაჰკიდეს. რუსეთის ვასალური სისტემა იშლება. მართალია, რუსეთი მარტივად ვერ დაგვეხსნება, მაგრამ რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული წესები საქართველოში ვეღარ იმოქმედებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები და ტურბულენტური ძვრები გარდაუვალია. პოლიტიკაში მოვლენ სანდო პირები, რომლებსაც ექნებათ როგორც ხალხის, ისე დასავლეთის ნდობა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ველი სხვანაირი გახდება.

მოსკოვმა კვირიკაშვილს უპასუხა — „მივესალმებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი დიალოგის სურვილს“

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის რუსეთის ხელისუფლებისადმი 9 მარტს გავრცელებულ მიმართვას პასუხობს.

– მოსკოვში ყურადღებით გაეცნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის 9 მარტის მიმართვას. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, ორმხრივი ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელებასა და გაღრმავებასთან დაკავშირებით წერილში გამოხატულ სულისკვეთებას. ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს, რომ რუსეთი, როგორც ადრე, დაინტერესებულია მეზობელ საქართველოსთან ურთიერთობის გაჯანსაღებით და მზადაა ამ საკითხში იმდენად შორს წავიდეს, რამდენადაც ამისთვის თბილისი იქნება მზად.

გიორგი კვირიკაშვილის შეხსენება ჟენევის დისკუსიებზე პროგრესისადმი სწრაფვასთან დაკავშირებით, მარტის ბოლოს დაგეგმილ მორიგ რაუნდზე საქართველოს მხრიდან კონსტრუქციულობის იმედს იძლევა, დარწმუნებულები ვართ, რომ ასეთი მიდგომა მოლაპარაკებების სხვა მონაწილეების მხრიდანაც იქნება მხარდაჭერილი, იმის მიუხედავად, თუ ვინ უხელმძღვანელებს ჟენევაში საქართველოს დელეგაციას.

არ შეიძლება არ მივესალმოთ, ასევე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი დიალოგის გაცხადებულ სურვილს. ეს ერთადერთი რეალური გზაა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც საქართველოს აწუხებს და რომელიც რუსეთ-საქართველოს ორმხრივი დღის წესრიგის მიღმაა. ეს ეხება, კონკრეტულად საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით მომხდარ სამწუხარო ინციდენტსაც, – ნათქვამია განცხადებაში.

რეგიონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა იზრდება

საქართველოს რეგიონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, ერთადერთი რეგიონი, სადაც ინვესტიცია შემცირდა, არის კახეთი.

თუმცა მიუხედავად ამისა, მთლიან ინვესტიციებში თბილისის წილი მაინც მაღალია და 78,2%-ს შეადგენს. წინასწარი შეფასებით, 2017 წელს ქვეყანაში სულ შემოვიდა 1,861 მლრდ დოლარის ინვესტიცია, საიდანაც თბილისში ჩაიდო 1,456 მლრდ დოლარი.

რაც შეეხება სხვა რეგიონებს, ორჯერ გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა აჭარაში. თუ 2016 წელს რეგიონში შევიდა 95,7 მლნ დოლარის ინვესტიცია, 2017 წელს ეს მოცულობა 185,4 მლნ დოლარამდე გაიზარდა. 30,9 მლნ დოლარიდან 52,6 მლნ დოლარამდე გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა სამცხე-ჯავახეთში.

სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვემო ქართლშიც – 29,7 მლნ დოლარიდან 66,7 მლნ დოლარამდე. ასევე 35,4 მლნ დოლარიდან 55,6 მლნ დოლარამდე გაიზარდა ინვესტიციები სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიაში. 35, 3 მლნ დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, რაც 7 მლნ დოლარზე მეტია 2016 წელთან შედარებით. რაც შეეხება შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთს, 2017 წელს ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა აქაც, თუმცა დაახლოებით, 2 მლნ დოლარით – 2,3 მლნ-იდან 4,3 მლნ დოლარამდე.

„მოვალის ნაცვლად, შესაძლოა, თანხა თქვენ დაგეკისროთ“

საბანკო და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებები კრედიტის გაცემამდე ხშირად მიუთითებენ პოტენციურ მოვალეს, რომ სესხს მხოლოდ თავდების წარმოდგენის შემთხვევაში გასცემენ.

თუმცა, ყველაფერი ასე მარტივად არ არის. მაშინ, როდესაც ვიღაც ახლობელი გთხოვთ, თავდებში ჩაუდგეთ, ვერ ითვალისწინებთ, თუ რა თანმდევი რისკები შეიძლება ახლდეს ამ უკანასკნელს.

საადვოკატო ბიურო OK&CG-ში აცხადებენ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა თავდებში მყოფი პირები დაზარალებულის ამპლუაში ყოფილან. რა უნდა გაითვალისწინოთ იქამდე, ვიდრე ვინმეს თავდებში ჩაუდგებით? ამ საკითხზე საადვოკატო ბიურო OK&CG-ს ადვოკატი ანა გორდეზიანი საუბრობს.

როგორც იურისტი განმარტავს, თავდებობას საკრედიტო დაწესებულებები იმიტომ მიმართავენ, რომ ამ შემთხვევაში იზრდება ვალდებულების შესრულების ალბათობა: იმის მიხედვით, თუ რა სახის თავდებობაა თანხას გადაიხდის მოვალე ან/და თავდები.

რას ნიშნავს თავდებობა?

თავდებობა შეიძლება იყოს ვადიანიც და უვადოც. თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, კერძოდ თავდებობა უნდა დაიდოს წერილობითი სახით და მასში უნდა იყოს განსაზღვრული ის ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც თავდები ძირითადი ხელშეკრულების მოვალის ვალდებულებისათვის პასუხს აგებს.

რით განსხვავდება სოლიდარული და სუბსიდიური თავდებობა

ერთმანეთისგან განსხვავდება სოლიდარული და სუბსიდიური თავდებობა. თუ მხარეები ხელშეკრულებით განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდებიან, სუბსიდიური თავდებობის წესები მოქმედებს, რაც გულისხმობს იმას, რომ თავდებისადმი მიმართვა მოვალის ვალდებულების შესრულების მიზნით მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელება (სასამართლოს გზით ვალდებულების შესრულების მოთხოვნა) მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავდებს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.

თუ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდებიან, რომ თავდები ვალდებულებას სოლიდარულად კისრულობს, მაშინ კრედიტორს ექნება შესაძლებლობა, თავდებს ძირითადი მოვალის მიმართ სასამართლო ღონისძიებების გატარების გარეშე მოსთხოვოს მოვალის ვალდებულების შესრულება. ამ შემთხვევაში თავდები გარკვეულწილად მოვალეს უთანაბრდება.

თავდები უფლებამოსილია, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების, შესრულების ვადის გადაცილების შესახებ ინფორმირებული იყოს. კრედიტორი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია თავდების მოთხოვნისთანავე გასცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავისუფლდება შესაბამისი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო დამდგარი ზიანისაგან.

რა ხდება მაშინ, როცა მოქალაქეები არ უღრმავდებიან თავდებობის თანმდევ რისკებს და ხელშეკრულებას გაუაზრებლად აწერენ ხელს?

ყველამ, ვინც პრაქტიკაში იცნობს ამ საკითხს, იცის, რომ თავდებობის ხელშეკრულების ფორმა, რომელსაც საბანკო დაწესებულებები იყენებენ, შაბლონურია და ყველა მათგანი თავდებში მყოფ პირს მაქსიმალურად მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს. საქმე ის არის, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით, იმ შემთხვევაში თუ მოვალე ნაკისრ ვალდებულებას ვერ დაფარავს, კრედიტორს შეუძლია, დარჩენილი ვალის ანაზღაურება თავდებში მყოფ პირს მოსთხოვოს.

მოქალაქეებს ვურჩევ, ვინმესთვის თავდებში ჩადგომისგან თავი მაქსიმალურად შეიკავონ და, თუ მაინც გარისკავენ, გაითვალისწინონ, რამდენად გადახდისუნარიანია მსესხებელი, ვისაც თავდებში უდგებიან, რადგან, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე სესხს ვერ გადაიხდის, ვალდებულების შესრულება მას მოუწევს.

ხაშურში, სურამსა და ქვიშხეთში სასტუმროები შენდება

– შიდა ქართლის რეგიონში, ტურისტულ ზონებში, მათ შორის ბატეთის ტბაზე პირველადი მოხმარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა კახა სამხარაძემ განუცხადა.

მისი თქმით, ბატეთის ტბასთან 3-4-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია განხორციელდება.

– ძამას ხეობაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მცირე მონაკვეთი რჩება დასასრულებელი და უახლოეს პერიოდში მთლიანი ინფრასტრუქტურა იქნება განვითარებული. ეს ტურისტული მიმართულების განვითარებას ხელს შეუწყობს. ბატეთის ტბასთან მისასვლელი 3-4- კილომეტრიანი გზა რჩება, რომელსაც რეაბილიტაცია აუცილებლად ჩაუტარდება. ტურისტების დიდი ნაკადი გვყავს სეზონზე და ამიტომაც პირველადი მოხმარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა მოეწყობა, – აცხადებს სამხარაძე.

მთელ რეგიონში ტურისტულ ზონებში შესაბამისი ბილიკები მოეწყობა.

– ტენდერის სახით გამოვავლინეთ კომპანია, რომელმაც ტურისტული მარშრუტები უკვე დაადგინა და შესაბამის სამუშაოებს დაიწყებს. მიმდინარე სეზონისთვის ტურისტული ბილიკები მოეწყობა. ასევე, ტურისტების მოზიდვის მიზნით, მაისის ბოლოს სამდღიან ტურს მოვაწყობთ. რეგიონში უფრო მეტი ტურისტის მოზიდვაა საჭირო, ამისთვის რესურსი და ღირსშესანიშნავი ადგილი ბევრი გვაქვს, – აღნიშნავს გუბერნატორი.

მნიშვნელოვანია სასტუმროების მშენებლობის საკითხიც:

– ამ ეტაპზე ქვიშხეთში სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. მასში მინიმუმ 27 ნომერი განთავსდება. შედარებით დაბალი კლასის და ხელმისაწვდომი იქნება. გარდა ამისა, სასტუმროები შენდება სურამსა და ხაშურში, მათ შორის სურამის ტყეპარკის ტერიტორიაზე ადგილობრივი ინვესტორი სასტუმროს აშენებს.

შიდა ქართლში 2018 წელს ჯამში 33 მილიონი ლარის მოცულობის პროექტი განხორციელდება.

– 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა გაწერილი გვაქვს. რეგიონში სავალი გზებისა და სასმელის წყლის პრობლემა სრულად უნდა აღმოიფხვრას. ჩვენი მიზანია, რომ 2021 წელს განვითარების სხვა ეტაპზე გადავიდეთ. ამ მიზნით მიმდინარე წელს ჩვენს რეგიონში 102 პროექტი განხორციელდება, რომლის საერთო მოცულობა 33 მილიონი ლარი იქნება. ასევე, მნიშვნელოვანია გაზიფიცირების საკითხიც, 310 სოფლიდან 228-ს ბუნებრივი აირი უკვე მიეწოდება. დარჩენილ 82 დასახლებულ პუნქტს უახლოეს წლებში ბუნებრივი აირი ექნებათ.

კასპში თეძამის წყალსაცავის მასშტაბური პროექტი გვაქვს დაწყებული, რომლის ღირებულებაც 60 მილიონი ლარია და 7000 ჰექტარამდე გასარწყავიანების პრობლემას მნიშვნელოვნად მოაგვარებს, – აცხადებს კახა სამხარაძე.

გორში თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის ღირებულებაც 2 მილიონნახევრამდე ლარი იქნება. 75 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება შიდა ქართლში, სადაც 50 მეგავატი სიმძლავრის ქარის ახალი ელექტროსადგურები აშენდება.

კახა სამხარაძის თქმით, მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები კომპანიასთან, რომელიც დაინტერესებულია, რომ რეგიონში მზის პანელებით ელექტროენერგიის გამომუშავება დაიწყოს.

სასამართლომ სვეტის წინააღმდეგ სარჩელი წარმოებაში მიიღო

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამშენებლო კომპანია სვეტის წინააღმდეგ, ერთ-ერთი დაზარალებულის სარჩელი დღეს წარმოებაში მიიღო. როგორც bm.ge-ს მენაშენეების ადვოკატმა ირაკლი ბურჭულაძემ აცნობა, მისი კლიენტი კომპანია სვეტისგან გადახდილი რამდენიმე ათეული ათასი ლარის სრულად დაბრუნებას მოითხოვს.

– ჩემმა კლიენტმა დაკარგა ნდობა აღნიშნული კომპანიის მიმართ და აღარ აქვს ინტერესი გააგრძელოს თანამშრომლობა, ამიტომ ხელშეკრულების შეწყვეტას და ფულის სრულად დაბრუნებას ვითხოვთ. იმედი გვაქვს, კომპანია კეთილგონიერებას გამოიჩენს და შემხვედრ ნაბიჯებზე წამოვლენ, – აღნიშნა ბურჭულაძემ. მისივე ინფორმაციით, რამდენიმე სარჩელი კიდევ მზადდება და მომავალ კვირას სასამართლოში მათაც შეიტანენ.

როგორც ადვოკატი აცხადებს, მასთან კონსულტაციებს გადიან კომპანია სვეტის ბათუმის პროექტის მენაშენეებიც, სადაც მშენებლობა ასევე შეჩერებულია. წინასწარი ინფორმაციით, რასაც ადვოკატი ფლობს, მოსალოდნელია, რომ მენაშენეებმა ამ შემთხვევაშიც თანხების უკან დაბრუნება მოითხოვონ.

დაზარალებულების ადვოკატი ვარაუდობს, რომ სასამართლო საბოლოოდ სარჩელებს გააერთიანებს, რაც პროცედურულად საქმის წარმოებას გაამარტივებს.

შეგახსენებთ, რომ კომპანია სვეტის პროექტებს თბილისსა და ბათუმში უკვე რამდენიმე კვირაა პრობლემები აქვს. გაირკვა, რომ ზოგიერთ ობიექტზე კომპანიას სამშენებლო ნებართვა საერთოდ არ ჰქონდა, ზოგან კი სამუშაოები დარღვევებით მიმდინარეობდა. კომპანიამ ასევე გააუქმა სადაზღვევო ხელშეკრულებები ალდაგთან, თბილისისა და ბათუმის პროექტებზე, რის შედეგადაც სადაზღვევო კომპანიამ დაკარგა იურიდიული ბერკეტი და უფლება, საჭიროების შემთხვევაში თავად დაასრულოს საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა.

ბანკებს კაპიტალის გაზრდა აპრილისთვის აღარ მოუწევთ

ბანკებს კაპიტალის გაზრდა აპრილისთვის აღარ მოუწევთ. სებ-მა ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის პირველ სხდომაზე ასე გადაწყვიტა. საყოველთაო ბუფერისგან 16 ბანკიდან არცერთი თავისუფლდება.

წლის ბოლომდე, კონცენტრაციის ბუფერისთვის (+ 2.5%-მდე) კაპიტალის რა განაკვეთის დანამატი დაეკისრება სექტორს, კომიტეტის მორიგ, 23 მაისის სხდომაზე გახდება ცნობილი.

მარეგულირებელი მსესხებლების კონცენტრაციასHHI ინდექსით გაზომავს და ამის მიხედვით ბანკს კაპიტალში დამატებით ინექციას მოსთხოვს.

კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის (რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 0%-დან 2.5%-მდე შუალედში) განაკვეთი ცვალებადია და კვარტალურად გადაიხედება, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის სესხების მშპ-სთან ფარდობის და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, საცალო და კორპორაციული სექტორის მდგრადობის მაჩვენებლები, შიდა და საგარეო მაკროფინანსური მაჩვენებლები.

ბუფერები სხვადასხვა ვადიანობისაა. 5-წლიანია გრეიფ ბუფერი და 4 -წლიანი, სისტემურობის, რომელიც სხვა ინდექსებისგან განსხვავებით, მხოლოდ 3 ბანკს შეხება. სებ-ის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ კომიტეტის (1.03.2018) შემდეგ თქვა, რომ ეს ჯარიმაა, ზომის კრიტერიუმით, იმიტომ, რომ მსხვილები არიან.

წლის ბოლოსთვის მხოლოდ 3 ბანკს უდგება კაპიტალის დამატებითი ვალდებულება, +1% თიბისის და საქართველოს ბანკს; 0.6% – ლიბერთის. ეს პირველი ეტაპია სისტემურობის ბუფერის (+2.5%/+2.5% – თიბისი/ საქართველოს ბანკი; 1.5% – ლიბერთი).

„სადაზღვევო სექტორს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება მოგების რეინვესტირება“

– სადაზღვევო სექტორს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება მოგების რეინვესტირება და თანხების უკან, ბიზნესში ჩაბრუნება, – ამის შესახებ Global Benefits Georgia-ს გენერალურმა დირექტორმა ნინო კობახიძემ გადაცემაში „ანალიტიკა“ განაცხადა. მისი თქმით, ზოგადად, ნებისმიერი რეფორმა ყველას თანაბრად უნდა ეხებოდეს და მიუღებელია დისკრიმინაციული დაყოფა, ვის როდის შეეხოს ის.

– მნიშვნელოვანი რესურსები გვჭირდება სავალდებულო დაზღვევის პროდუქტების შემოღების მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, გვაქვს ასევე ვალდებულებები საწესდებო კაპიტალის შევსების კუთხით, ასევე აღსანიშნავია, რომ ჩვენი შემოსავლებიდან ვაფინანსებთ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს. ვფიქრობ, ძალიან ბევრი კომპონენტია იმისთვის, რომ ასეთი პოზიცია გვქონდეს. როდესაც ჩვენი კომპანიის დამფუძნებელს ვესაუბრებოდით ქვეყანაში შემოსვლამდე, ბიზნეს-პაკეტთან ერთად მარტივ საგადასახადო სისტემაზე და მოგების გადასახადის რეინვესტირების შესაძლებლობაზეც ვამახვილებდით ყურადღებას, – აღნიშნა ნინო კობახიძემ და დასძინა, რომ სადაზღვევო სექტორი განვითარების ეტაპზეა, ამიტომ ესტონური მოდელით მოგების გადასახადის რეინვესტირების შესაძლებლობა დარგისთვის მნიშვნელოვანი შეღავათია.

მისი თქმით, ამ ეტაპზე ბიზნესომბუდსმენის აპარატთან, ასევე ფინანსთა სამინისტროსთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს. კობახიძე იმედს გამოთქვამს, რომ კონსტრუქციული პოზიცია, რომელიც ამჟამად ფინანსთა სამინისტროდან მოდის, საბოლოოდ სადაზღვევო სექტორისთვის შედეგიანად დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასვლა საფინანსო სექტორისთვის 2023 წლამდე გადავადდა, რასაც სადაზღვევო სექტორი აპროტესტებს.

პეკინის ქუჩაზე 10 წლის ბავშვს ავტომანქანა დაეჯახა

თბილისში, პეკინის ქუჩაზე 10 წლის ბავშვს ავტომობილი დაეჯახა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, ბიჭი გადასასვლელზე გადადიოდა, როდესაც მას მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

ამ დროისათვის ბავშვი მსუბუქი დაზიანებებით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ზესტაფონში მუშა დაიღუპა — მორიგი მსხვერპლი სამუშაო ადგილზე

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სარემონტო საამქროს 55 წლის თანამშრომელი საწარმოო შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ადგილობრივი პირველადი ორგანიზაციის წარმომადგენელთა ინფორმაციით, სარემონტო საამქროს თანამშრომელი, 55 წლის დავით ძაბირაძე, მე-4 საამქროს სახურავიდან, ჭერის სარემონტო სამუშაოების შესრულების, კონკრეტულად კი სახურავის ძველი ლითონის ფურცლების შეცვლის დროს ჩამოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა, რომლის სიმაღლე დაახლოებით 40 მეტრი იყო.

სოხუმში შვილის გამო ახალგაზრდა ქალი მოკლეს



სოხუმში ახალგაზრდა ქალი მოკლეს. შემთხვევა 11 მარტს მოხდა. არსებული ინფორმაციით, მკვლელობა რამდენიმეწლიან დავას უკავშირდება, რომელიც ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშვა. მოკლული რუსეთის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული გულგაზ მამედოვა აფხაზეთში მცხოვრებ 1978 წელს დაბადებულ ვიქტორ ჯანბასთან ქორწინებაში იმყოფებოდა. განქორწინების შემდეგ, 2015 წლის ივლისში, სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ მცირეწლოვან შვილს დედასთან უნდა ეცხოვრა.

დიდი დავის შემდეგ, ჯანბა იძულებული იყო შვილი დედისთვის დაებრუნებინა, თუმცა კონფლიქტს ყოფილ ცოლ-ქმარს შორის ადგილი მუდმივად ჰქონდა.

11 მარტს კი ვიქტორ ჯანბამ გულგაზ მამედოვა სოხუმში, მოქალაქეთა თვალწინ სიცოცხლეს გამოასალმა, თავად კი მილიციაში გამოცხადდა. აფხაზური მედიის ცნობით, შემთხვევის ადგილიდან კალაშნიკოვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

ვიქტორ ჯანბა აქტიურად იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ 1993 წელს, მას „აფხაზეთის გმირის“ წოდებაც კი აქვს მიღებული.

ანა დოლიძე მოსამართლეთა საგამოცდო სისტემაში ცვლილებებს ითხოვს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები დღევანდელ სხდომაზე მოსამართლეების საგამოცდო სისტემას განიხილავენ.

ანა დოლიძე თვლის, რომ არსებული სისტემა ობიექტური არ არის და გამოცდებზე მოსამართლეთა ანონიმურობა სრულად უნდა იქნას დაცული.

მისივე შეფასებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად უნდა ჩამოშორდეს მოსამართლეთა გამოცდების პროცესს.

– საკვალიფიკაციო გამოცდისგან თითქმის მთლიანად უნდა მოხდეს იუსტიციის საბჭოს ჩამოშორება, უნდა იყოს უზრუნველყოფილი ობიექტური შეფასების სისტემა. წარმოდგენილ ცვლილებებში მაინც კომისიის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი უფლება, დაუწეროს ნიშანი გამოსაცდელ პირს.

მთავარი პრინციპი, რომელიც უნდა იყოს დაცული, გამოცდა უნდა იყოს სრულიად და ყოველმხრივ ანონიმური, – აცხადებს დოლიძე.

პოლიციამ გოგი ხატოევის მკვლელობის ფაქტი გახსნა

პოლიციამ ტატიშვილის ქუჩაზე მომხდარი ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის გოგი ხატოევის მკვლელობის ფაქტი გახსნა. როგორც უწყებაში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1975 წელს დაბადებული ვ.წ.

– სამართალდამცველებმა 11 მარტს, ვერაზე, ტატიშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნეს. ჩატარებული აქტიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პოლიციელებმა 1975 წელს დაბადებული ვ.წ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 11 მარტს თბილისში, ტატიშვილის ქუჩაზე, შურისძიების მოტივით, ნაცნობს – 1957 წელს დაბადებულ გ.რ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, სანადირო თოფიდან გასროლით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. გ.რ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით, – აცხადებენ შსს-ში.

* * *

არსებული ინფორმაციით, მკვლელი და მოკლული ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ და მათ შორის გარკვეული დაპირისპირება 2007 წლიდან არსებობდა. კერძოდ, როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, მოკლული ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, გოგი ხატოევი 2007 წელს მკვლელობაში ბრალდებულის, ვ.წ-ს ოჯახში შეიჭრა და დააყაჩაღა. ყაჩაღობის გამო ვ.წ.-ს დედამ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ 2007 წელს მომხდარი შემთხვევის შემდეგ, მოკლული ვ.წ-ზე სისტემატურად ზეწოლას ახორციელებდა და არეკეტებდა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ წარსულში მომხდარი ეს ფაქტები გახდა მკვლელობის მოტივი.

ვერაზე, ტატიშვილის ქუჩაზე ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, გოგი ხატოევი 11 მარტს მოკლეს. პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული 1975 წელს დაბადებული ვ.წ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

წვრილმანი ხულიგნობის მუხლს საია საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არაკონსტიტუციური გამოყენების შესაცვლელად, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ საკონსტიტუციო სასამართლოში კიდევ ერთი სარჩელი წარადგინა.

– საია კონსტანტინე ჩაჩანიძის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლს (წვრილმანი ხულიგნობა) და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში „უხამსობის“ განმარტებასთან დაკავშირებული მუხლების ნორმატიულ შინაარსს.

სარჩელის მიზნებისათვის, დავის საგანს წარმოადგენს სადავო ნორმების იმგვარი ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლის მიხედვითაც, პროფანაციულ სიტყვას არ შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური, კულტურული საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება. კონტექსტის განურჩევლად, ასეთი სიტყვის წარმოთქმა, ბლანკეტურად მიჩნეულია უხამსობად. ამ სიტყვის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას წარმოთქმა კი იწვევს სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

საია მიიჩნევს, რომ უცენზურო გამონათქვამის ბლანკეტური აკრძალვა არღვევს გამოხატვის და შეკრების თავისუფლებას, ვინაიდან შეუძლებელს ხდის ამ ტერმინის გამოყენებით პოლიტიკოსის და სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკას. ამგვარად, სადავო ნორმები წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებასთან და მშვიდობიანი შეკრების უფლებასთან, – აღნიშნულია საია-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორ გამოიყურება მამაკაცი, რომელიც გუგეშაშვილის შვილის მკვლელობისთვის იძებნება

დოდო გუგეშაშვილის თქმით, შექმნილი ფოტორობოტი უფრო ჰგავს მისი შვილის სავარაუდო მკვლელს, ვიდრე საგამოძიებო ორგანოს შედგენილი.

„ახალი კვირა“ თადარიგის პოლკოვნიკის, დოდო გუგეშაშვილის შვილის მკვლელობისთვის ძებნილი მამაკაცის ფოტორობოტს ავრცელებს.

მამაკაცის ფოტორობოტი სპეციალურად საზმაუს ახალი გადაცემისთვის შექმნეს. მოკლული ნოდარ გუგეშაშვილის დედა, დოდო გუგეშაშვილი ამბობს, რომ „ახალი კვირისთვის“ შექმნილი ფოტორობოტი „უფრო ჰგავს მკვლელს“, ვიდრე საგამოძიებო ორგანოს მიერ შედგენილი.

დოდო და ნოდარ გუგეშაშვილებს საკუთარ საცხოვრებელ სახლში მიმდინარე წლის 7 თებერვალს დაესხნენ. ნოდარ გუგეშაშვილი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, დოდო გუგეშაშვილი კი მძიმედ დაიჭრა.

გუგეშაშვილი ამბობს, რომ ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა. პოლკოვნიკი იხსენებს, რომ ძებნილი მას შემთხვევიდან 11 თვით ადრე გაეცნო, როგორც ვეტერანი და გარკვეული დახმარება სთხოვა.

კერძოდ, მამაკაცი გუგეშაშვილს უკრაინიდან ქარვის ტრანსპორტირებაში დახმარებას სთხოვდა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 19-109-ე მუხლებით მიმდინარეობს.

მკვლელობაში ბრალდებული კი ამ დრომდე არ დაუკავებიათ.

დიდი ოდენობით ყალბი ფული სამეგრელოში — დაკავებულია ერთი პირი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის შენახვა-გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სამეგრელოს რეგიონში 18 000 ლარის ოდენობის ყალბი ასლარიანი კუპიურა გაასაღა. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამატებით ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული 11 ერთეული ყალბი ასლარიანი კუპიურა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

მოგერინი კიევში ჩავიდა

ევროკომისარი ფედერიკა მოგერინი კიევში ჩავიდა. ის პრეზიდენტ პოროშენკოს, საგარეო საქმეთა მინისტრ კლიმკინს და პარლამენტის სპიკერ პარუბიის შეხვდა.

მოგერინიმ განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმებები რუსეთის გამო ირღვევა.

– დასავლეთი გააგრძელებს ზეწოლას რუსეთზე, რათა აიძულოს, მინსკის შეთანხმებები შეასრულოს, – თქვა მოგერინიმ.

ევროკომისარმა უკრაინის ხელმძღვანელობას მოუწოდა, გააძლიეროს კორუფციასთან ბრძოლა, რეფორმები კი უფრო რადიკალურად გაატაროს.

შვილმა მამა მოხსნა

მარინ ლე პენი საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის თავმჯდომარედ მესამედ აირჩიეს. პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ მამამისი ჟან მარი ლე პენი, რომელმაც ნაციონალური ფრონტი შექმნა, შემდეგ კი მისი ხელმძღვანელობა თავის ქალიშვილს გადასცა, საპატიო თავმჯდომარეობიდან გადააყენა.

– ჩვენს დროში ასეთი ტიტული ანაქრონიზმია, – თქვა მარინ ლე პენმა.

ნაციონალური ფრონტი უკიდურესად მემარჯვენე ორგანიზაციაა. მის ხელმძღვანელობაში მარინ ლე პენის მოსვლის შემდეგ მან მტკიცე პრორუსული ორიენტაცია აიღო. ნაციონალური ფრონტი მხარს უჭერს რუსეთისთვის სანქციების მოხსნას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის ცნობას და ა.შ.

ჟან მარი ლე პენი ქალიშვილის ასეთ პოლიტიკას მწვავედ აკრიტიკებდა. შედეგმაც არ დაახანა – შვილმა მამა თანამდებობიდან გადააყენა.

პუტინი: „ყირიმი უკრაინას აღარასოდეს დაუბრუნდება!“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ ყირიმი უკრაინას აღარასოდეს დაუბრუნდება.

– თქვენ რა, შეიშალეთ? ყირიმის საკითხი გადაწყვეტილია! – ამბობს პრეზიდენტი.

პუტინმა ასევე აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საკითხებიც სრულიად ნათელია.



– აფხაზებმა და ოსებმა თავიანთი არჩევანი გააკეთეს! ეს საკითხი დახურულია! თუ ქართველებს ჩვენთან დიალოგი სურთ, კი ბატონო, ოღონდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემა უნდა დაივიწყონ! – ამბობს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლას უკრაინაში სათანადო რეაქცია მოჰყვა. ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დმიტრო იაროშმა განაცხადა, რომ უკრაინა დონბასსაც დაიბრუნებს, ყირიმსაც, ყუბანსა და ვორონეჟის მხარესაც შემოიერთებს.

– რუსეთს სისხლს გავუშრობთ! – თქვა იაროშმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტრამპი: „კიმი აუცილებლად უკან დაიხევს!“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ კიმ ჩენ ინთან მოლაპარაკებების წინ ოპტიმისტურადაა განწყობილი.

– კიმს უამრავი რაკეტა აქვს, მაგრამ მათი გამოყენების შემთხვევაში შავი დღე დაადგება! მას ეს ამომწურავად აუხსნეს. კიმიც აუცილებლად დაიხევს უკან, – თქვა ტრამპმა.

პენსილვანიაში გამგზავრების წინ ტრამპმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მოლაპარაკებების წარმატებაში დარწმუნებულია.

– მგონი, რაღაც კარგი უნდა მოხდეს, – თქვა ტრამპმა.

შვედეთის პრემიერმა ლევენმა განაცხადა, რომ მზადაა, ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრას უმასპინძლოს.

– შვედეთი მუდამ მშვიდობისთვის იბრძოდა! ტრამპისა და კიმ ჩენ ინის მოლაპარაკებების შედეგებზე დამოკიდებულია მშვიდობა მთელ მსოფლიოში, – თქვა ლევენმა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, თუ შეხვედრა სტოკჰოლმში გიოტებორგში, მალმიოში ან შვედეთის სხვა რომელიმე ქალაქში გაიმართება.

სკრიპალის საქმე გრძელდება: ხელისუფლება მოქალაქეებს ნივთების კარგად გარეცხვას ურჩევს

ინგლისში გრძელდება სკრიპალში მოწამვლის გამოძიება. უკვე გამოკითხულ იქნა 200-მდე მოწმე. შეგროვილია 400-ზე მეტი სამხილი. აუცილებელია, მთელი ეს ინფორმაცია სათანადოდ დამუშავდეს, გადამოწმდეს, შემდეგ კი შეფასება მიეცეს.

ამავე დროს, სოლსბერში ქიმიური თავდაცვის ნაწილები მუშაობენ. მათ განაცხადეს, რომ გამოყენებულ იქნა ძალიან ძლიერი შხამი, რომელიც ქალაქის სხვადასხვა უბნებში იქნა აღმოჩენილი.

– მოქალაქეებს ვურჩევთ, თავიანთი ნივთები საფუძვლიანად გარეცხონ, – აცხადებენ ბრიტანელი სამხედროები.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა გამოთქვა აღშფოთება იმის გამო, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯონსონმა მომხდარში რუსეთი დაადანაშაულა.

– ფაქტების გარეშე ამდაგვარი ბრალდებები დაუშვებელია, – ამბობს ლავროვი.

კრემლის პოზიცია ჩვეულებისამებრ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა. თავის ინტერვიუში მან განაცხადა, რომ დასავლეთი უკრაინას მხარს უჭერს და ამის გამო უნდა დაისაჯოს.

– ნუ გვიშლით ხელს უკრაინის დაშლაში! შეეგუეთ იმას, რომ უკრაინას მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთი რეგიონი მოწყდება! არა? მაშ თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოხდება, – თქვა ჟირინოვსკიმ.

ბალტიელები და პოლონელები ჩრდილოეთის ნაკადი-2-ის წინააღმდეგ



ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და პოლონეთის პარლამენტებმა ჩრდილოეთის ნაკადი-2-ის წინააღმდეგ ერთობლივი რეზოლუცია მიიღეს. ის მოიცავს მოწოდებას ევროპის სახელმწიფოებისადმი, რომ ხსენებულ პროექტში მონაწილეობა არ მიიღონ.

– ეს არა კომერციული, არამედ პოლიტიკური პროექტია და ის რუსული იმპერიული ინტერესების დაცვისკენაა მიმართული, – ნათქვამია მიმართვაში.

ბუკინისტი შეისყიდის

XVIII-XIX საუკუნის ძველებურ წიგნებს
1500 ლარად
ხელნაწერებს, გრავიურებს, ჟურნალებს, პლაკატებს, ბარათებს, საბავშვო წიგნებს, 1945 წლამდე საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს 200 ლარად, ასევე ვერცხლის ჭურჭელს.
591-75 35 38

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

უდანაკარგო მხოლოდ საბურთალოა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

კოლხეთი-საბურთალო 1:4

ზესტაფონი. დავით აბაშიძე
1:0 გოგონაია (20პ), 1:1 გორგიაშვილი (47), 1:2 კოხრეიძე (54), 1:3 რეხვიაშვილი (76), 1:4 ტატანაშვილი (88პ)

კოლხეთი: სოლოსინი, გ.კილასონია, მახარაძე, გოგონაია, არზიანი (ჯიმშელეიშვილი 67), დანილოვი, კაკულია (ჩუბითიძე 82), მიხალიოვი, კაბორე, ტყემალაძე, გოგბერაშვილი (არქანია 82)

საბურთალო: კუპატაძე, იაშვილი (ტატანაშვილი 35), მარგველაშვილი, ნადარაია (რეხვიაშვლი 46), თედ.გრიგალაშვილი, ვოლკოვი, კოხრეიძე, თარხნიშვილი, გორგიაშვილი, გონსალვეში, დიასამიძე (გოშთელიანი 81)

მორიგი გამარჯვება იზეიმა დედაქალაქურმა საბურთალომ, რომელმაც ზესტაფონში ფოთის კოლხეთი 4:1 დაამარცხა და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. 2 ტურის შემდეგ ქალაქელებს ასპროცენტიანი შედეგი აქვთ.

კოლხეთთან შეხვედრა, ისევე, როგორც წინა ტურში სიონთან – საბურთალო პირველ ნახევარში მარცხდებოდა, მაგრამ თამაშის შემოტრიალება კიდევ ერთხელ შეძლო. მეორე ტაიმში საბურთალოელებმა მეტოქეს ოთხჯერ გაუტანეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

ნომინალურმა მასპინძლებმა ანგარიში თერთმეტმეტრიანი დარტყმიდან გახსნეს – მე-20 წუთზე ლაშა გოგონაიამ ზუსტად დაარტყა პენალტი. პირველ ტაიმში თბილისელებს გოლის გატანის 2 შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ტაიმი კოლხეთმა მოიგო.

საბურთალოს მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა პირველ ნახევარშივე მიმართა ცვლილებას – ნოდარ იაშვილის ნაცვლად, ფორვარდ დიმიტრი ტატანაშვილს უხმო, ხოლო შესვენებაზე ცოტნე ნადარაიას მაგივრად, გიორგი რეხვიაშვილი ჩართო თამაშში.

მეორე ტაიმი თბილისელებმა აქტიურად დაიწყეს და შედეგიც მალე მოიმკეს – 47-ე წუთზე კარგად გათამაშებული კომბინაცია თორნიკე გორგიაშვილმა დააგვირგვინა. მალევე გიორგი კოხრეიძემ საჯარიმოს გარედან მეკარეს აუღებელი დაურტყა და 2:1. ამის მერე ვაგნერსა და რეხვიაშვილს შეეძლოთ გატანა, მაგრამ მეკარე სოლოსინმა არ გაატანინა. რეხვიაშვილმა 76-ე წუთზე მაინც მოიქნია ფეხი შედეგიანად – საჯარიმოს სიახლოვეს გადმოვარდნილ ბურთს გამოეხმაურა და მესამედ შეარხია კოლხეთის კარის ბადე. ხოლო მატჩს წერტილი დიმიტრი ტატანაშვილმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით დაუსვა, პენალტი კი თავად მოინადირა.

ლოკომოტივი-დინამო 1:4

თბილისი. მიხეილ მესხი 2
1:0 შონია(21), 1:1 კიტეიშვილი(41), 1:2 ივანიშვილი(44), 1:3 შულაია(44), 1:4 კიტეიშვილი(83)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ქურდაძე, ჭანტურია, შონია, გვალია (კომახიძე 63), გავაშელიშვილი, დავითაშვილი, არველაძე (არველაძე, 71), გაბაძე, უბილავა (კობახიძე 77), სამურკასოვი

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ქარდავა, ზივზივაძე (ერგემლიძე 77), კიტეიშვილი (ნინუა 86), შულაია, ივანისენია (კუცია 30), ხარაბაძე, ივანიშვილი

48-ე თბილისური დერბი დინამოელთათვის საიუბილეო გამოდგა. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში თავისი მე-900 მატჩი ჩაატარა.

ანგარიში 21-ე წუთზე საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით თეიმურაზ შონიამ გახსნა. მანამდე 2 შორეული გასროლა დმიტრო ივანისენიამ და ვატო არველაძემ გაცვალეს. 34-ე წუთზე დინამოელებმა სახიფათო შეტევა განახორციელეს მარჯვენა ფრთიდან, აკაკი შულაიას ჩაწოდებულს ბოლო მომენტში ბუდუ ზივზივაძე ვერ შეწვდა. მომდევნო ეპიზოდში კი ლაშა თოთაძის ძლიერად დარტყმული საჯარიმო რევაზ თევდორაძემ მოიგერია. კიდევ ერთი შეტევა და გიორგი ივანიშვილის ჩაწოდებულს ოთარ კიტეიშვილმა არასწორი მიმართულება მისცა. სტუმართა შეტევებს შედეგი მე-40 წუთზე მოჰყვა. ოთარ კიტეიშვილმა ძლიერი დარტყმით წონასწორობა აღადგინა. 4 წუთში კი დინამოელები ლამაზი მოჭრილი დარტყმით და გუნდის შემადგენლობაში სადებიუტო გოლით გიორგი ივანიშვილმა წინ გაიყვანა. 1:2 და ტაიმიც ასე დასრულდა.

მეორე ნახევარი კი აკაკი შულაიას სახიფათო თავური დარტყმით გაიხსნა, ბურთი ოდნავ აცდა ლოკომოტივის კარს. სამაგიეროდ შულაიამ 53-ე წუთზე ბუდუ ზივზივაძის იდეალური პასი შეირგო და ერთი შეხებით მესამე გოლი გაუტანა მასპინძლებს. ცოტა ხანში ლევან ხარაბაძემ ძლიერად და არაზუსტად დაარტყა. ამის შემდეგ თამაში შედარებით მშვიდ რიტმში გადავიდა. შეხვედრაში საბოლოო ანგარიში დინამოს კაპიტანმა 83-ე წუთზე დააფიქსირა. ოთარ კიტეიშვილმა ტექნიკური დარტყმით აიღო თევდორაძის კარი.

ამრიგად დინამოელებმა საიუბილეო მატჩი მოგებით აღნიშნეს.

სამტრედია-სიონი 0:1

თბილისი. მიხეილ მესხი
0:1 დვალი (48)

61-ე წუთზე ივან ფატიჩმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (მეკარე)

სამტრედია: მიგინეიშვილი, ლობჟანიძე, განუგრავა (კირკიტაძე 60), დაუშვილი, გი, ერისთავი (სანია 46), ნდონგი, ახალაძე, ბაჩიაშვილი, ფატიჩი, ოლაიტანი (ვეილი 38)

სიონი: მუჯრიშვილი, მინდორაშვილი, თომაშვილი, ნოზაძე, ქიქავა, დვალი, ც.სამუშია (გურეშიძე 81), გაფრინდაშვილი (მანაგაძე 90), დათუნაიშვილი, სიხარულია (სიხარულია 72), გიორბელიძე

მატჩი დაძაბული კი გამოვიდა, მაგრამ სანახაობრივი მხარე უკეთესის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბოლნისელებმა სეზონის პირველი გამარჯვება იზეიმეს, ხოლო სამტრედია პირიქით, პირველად დამარცხდა.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში მოხდა: ერთადერთი გოლი 48-ე წუთზე ჯაბა დვალმა გაიტანა, რომელმაც ომარ მიგინეიშვილს შეცდომა არ აპატია.

შემდეგ უჩა სოსიაშვილის გუნდი გააქტიურდა და 61-ე წუთზე შესანიშნავი შანსიც მიეცათ, მაგრამ კირკიტაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ივან ფატიჩმა უხეიროდ დაარტყა. ბოლოს ინტერს გიიმ კი გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობაში იყო და გაუუქმეს.

რუსთავი-ტორპედო 0:1

თბილისი. დავით პეტრიაშვილი
0:1 კუხიანიძე(5)

რუსთავი: რევიშვილი, გეგეჭკორი, ცხოვრებოვი, კობახიძე, ცარიკაევი, პაპავა, ფონიავა (ქავთარაძე 86), გორელიშვილი (მარცვალაძე 68), გაბულოვი, კვირკვია (ჩოგაძე 38), მიქელთაძე

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, გურული, ქიმაძე, გიგაური, კუხიანიძე (ლიპარტია 81), დოლიძე (მამასახლისი 74), კუტალია, სარდალიშვილი, ბოხაშვილი (კაპანაძე 65)

პირველ ტურში გუნდებმა განსხვავებულად ითამაშეს – რუსთავმა სტუმრად მოუგო თბილისის დინამოს, ხოლო ტორპედომ შინ წააგო დილასთან, ამიტომ საინტერესო მატჩს ველოდით. ამაში კი ხელი ძლიერმა ქარმა შეუშალა. ქარის დამსახურებაა ის ერთადერთი გოლიც, რომელიც გიორგი კუხიანიძემ გაიტანა.

მე-5 წუთზე ქუთათურებმა კუთხური ჩააწოდეს, ქარმა ბურთი დაატრიალა, ნუკრი რევიშვილი შეცდა და იქვე ჩასაფრებულმა კუხიანიძემ თავისი შანსი გამოიყენა.

წინ მთელი თამაში იყო, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, გუნდებმა ვერაფერი შეცვალეს.

დილა-ჩიხურა 1:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე
0:1 გაბედავა (69), 1:1 ქავთარაძე (74)

დილა: ბეგაშვილი, კორიფაძე, გოგიაშვილი, სუხიაშვილი, ჩადუნელი, ნონდი, ქავთარაძე (გ.სამუშია 85), აშორტია (ფორტისი 62), რაჟამაშვილი, ნონიკაშვილი (კოვტალიუკი 73), ფანცულაია

ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, მარკოზაშვილი (ჩიხლაძე 70), მაისაშვილი (დობროვოლსკი 88), გაბედავა, კახაბრიშვილი (გუგა 61), ბულრიძე, კაკუბავა, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, კაშია

პირველ ტურში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ დილამ და ჩიხურამ ქულები გაიყვეს, რამაც ერთადერთ უდანაკარგო გუნდად საბურთალო აქცია.

შეხვედრის პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, შესვენებამდე 2 რეალური სახიფათო მომენტი ვიხილეთ, მაგრამ...

შესვენების შემდეგ, 69-ე წუთზე მეგრელიშვილის წამოწყებული შეტევა გოლით დასრულდა: მეგრელიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, დილას დაცვის ხაზი ჩავარდა, მარკოზაშვილის პასით გაბედავამ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში – 0:1. 74-ე ქავთარაძემ კაშია ჩამოიშორა, მცირე პაუზის შემდეგ კარისკენ ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

სატუნინიო ცხრილი:

1.საბურთალო	2	2	0	0	7-2	6
2.ჩიხურა	2	1	1	0	7-2	4
3.დილა	2	1	1	0	4-3	4
4.დინამო	2	1	0	1	5-3	3
5.ტორპედო	2	1	0	1	3-3	3
6.რუსთავი	2	1	0	1	2-2	3
7.სამტრედია	2	1	0	1	2-2	3
8.სიონი	2	1	0	1	2-3	3
9.ლოკომოტივი	2	0	0	2	2-6	0
10.კოლხეთი	2	0	0	2	2-10	0

შედეგები

11 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-უოტფორდი	3:0
ბორნმუთი-ტოტენჰემი	1:4

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	29	25	3	1	83-20	78
2.მანჩესტერი	30	20	5	5	58-23	65
3.ტოტენჰემი	30	18	7	5	59-25	61
4.ლივერპული	30	17	9	4	68-34	60
5.ჩელსი	30	17	5	8	52-27	56
6.არსენალი	30	14	6	10	55-41	48
7.ბარნლი	30	11	10	9	27-26	43
8.ლესტერი	30	10	10	10	45-43	40
9.ევერტონი	30	10	7	13	35-49	37
10.უოტფორდი	30	10	6	14	39-50	36
11.ბრაიტონი	30	8	10	12	28-40	34
12.ბორნმუთი	30	8	9	13	35-48	33
13.ნიუკასლი	30	8	8	14	30-40	32
14.სუონსი	30	8	7	15	25-42	31
15.ჰადერსფილდი	30	8	7	15	25-50	31
16.ვესტ ჰემი	30	7	9	14	36-57	30
17.საუთჰემპტონი	30	5	13	12	29-44	28
18.კრ.პალასი	30	6	9	15	28-48	27
19.სტოკი	29	6	9	14	28-54	27
20.ვესტ ბრომვიჩი	30	3	11	16	23-47	20

ინგლისი. ჩემპიონიგა

ნოტინგემი-დერბი	0:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-სოსიედადი	2:1
ატლეტიკო-სელტა	3:0
ლას პალმასი-ვილიარეალი	0:2
ბილბაო-ლეგანესი	2:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	28	22	6	0	72-13	72
2.ატლეტიკო	28	19	7	2	48-12	64
3.რეალი	28	17	6	5	67-30	57
4.ვალენსია	28	17	5	6	54-30	56
5.სევილია	28	14	3	11	36-42	45
6.ვილიარეალი	28	13	5	10	38-32	44
7.ხირონა	28	12	7	9	40-36	43
8.ეიბარი	28	11	6	11	35-41	39
9.სელტა	28	11	5	12	45-42	38
10.ბეტისი	27	11	4	12	43-52	37
11.ხეტაფე	28	9	9	10	33-26	36
12.ბილბაო	28	8	11	9	29-31	35
13.ესპანიოლი	28	8	11	9	26-34	35
14.სოსიედადი	28	9	6	13	50-50	33
15.ლეგანესი	28	9	6	13	23-34	33
16.ალავესი	27	10	1	16	24-39	31
17.ლევანტე	28	4	12	12	23-42	24
18.ლას პალმასი	28	5	5	18	20-57	20
19.დეპორტივო	28	4	7	17	25-59	19
20.მალაგა	28	3	4	21	16-45	13

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

სარაგოსა-ლორკა	3:1

სარაგოსას პირველი გოლი გიორგი პაპუნაშვილმა გაიტანა

ბარსელონა ... ბ-ნუმანსია	2:2
კორდობა-ლუგო	1:0
ალბასეტე-ოსასუნა	0:0
ხიხონი-ლეონესა	4:0
რეუსი-უესკა	0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ლაიპციგი	0:0
დორტმუნდი-აინტრახტი	3:2

სატუნინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	26	21	3	2	65-18	66
2.შალკე	26	13	7	6	40-30	46
3.დორტმუნდი	26	12	9	5	53-33	45
4.ლევერკუზენი	26	12	8	6	47-33	44
5.აინტრახტი	26	12	6	8	35-30	42
6.ლაიპციგი	26	11	7	8	38-34	40
7.ჰოფენჰაიმი	26	10	8	8	43-38	38
8.აუგსბურგი	26	9	8	9	36-33	35
9.გლადბახი	26	10	5	11	33-39	35
10.შტუტგარტი	26	10	4	12	23-29	34
11.ჰერტა	26	7	11	8	30-31	32
12.ჰანოვერი	26	8	8	10	33-38	32
13.ფრაიბურგი	26	6	12	8	25-42	30
14.ვერდერი	25	6	9	10	24-30	27
15.ვოლფსბურგი	26	4	13	9	28-36	25
16.მაინცი	26	6	7	13	29-43	25
17.ჰამბურგი	26	4	6	16	18-41	18
18.კიოლნი	25	4	5	16	24-46	17

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დუისბურგი-ფორტუნა	1:2
უნიონი-აუე	0:0
რეგენსბურგი-ზანდჰაუზენი	2:1

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-ბენევენტო	1:0
ბოლონია-ატალანტა	0:1
კალიარი-ლაციო	2:2
კროტონე-სამპდორია	4:1
სასუოლო-სპალი	1:1
იუვენტუსი-უდინეზე	2:0
ჯენოა-მილანი	0:1
ინტერი-ნაპოლი	0:0

სატუნინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	27	23	2	2	65-15	71
2.ნაპოლი	28	22	4	2	62-19	70
3.რომა	28	17	5	6	47-23	56
4.ლაციო	28	16	5	7	66-36	53
5.ინტერი	27	14	10	3	42-21	52
6.მილანი	27	14	5	8	38-30	47
7.სამპდორია	27	13	5	9	47-38	44
8.ატალანტა	26	11	8	7	38-29	41
9.ფიორენტინა	27	10	8	9	36-32	38
10.ტორინო	27	8	12	7	36-35	36
11.უდინეზე	27	10	3	14	37-40	33
12.ბოლონია	28	10	3	15	33-40	33
13.ჯენოა	27	8	6	13	21-28	30
14.კალიარი	27	7	5	15	25-43	26
15.კიევო	27	6	7	14	23-44	25
16.კროტონე	27	6	6	15	27-48	24
17.სასუოლო	27	6	6	15	16-47	24
18.სპალი	28	5	9	14	28-50	24
19.ვერონა	27	6	4	17	25-51	22
20.ბენევენტო	27	3	1	23	18-61	10

იტალია. სერია ბ

სალერნიტანა-აველინო	2:0
ემპოლი-ვირტუსი	2:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

გენგამი-ნიცა	2:5
ლიონი-კაენი	1:0
ტულუზა-მარსელი	1:2

სატუნინიო ცხრილი:

1.პსჟ	29	25	2	2	91-19	77
2.მონაკო	29	19	6	4	72-31	63
3.მარსელი	29	17	8	4	59-34	59
4.ლიონი	29	15	9	5	59-34	54
5.ნანტი	29	12	7	10	29-29	43
6.რენი	29	12	6	11	37-36	42
7.ნიცა	29	12	6	11	39-41	42
8.მონპელიე	29	9	14	6	26-23	41
9.ბორდო	29	10	7	12	33-37	37
10.დიჟონი	29	10	7	12	41-55	37
11.სტ.ეტიენი	29	9	9	11	31-44	36
12.კაენი	29	10	5	14	22-33	35
13.გენგამი	29	9	8	12	30-43	35
14.ანჟე	29	7	11	11	32-40	32
15.სტრასბური	29	8	7	14	33-52	31
16.ამიენი	29	8	6	15	24-33	30
17.ტულუზა	29	7	8	14	27-39	29
18.ტრუა	29	8	4	17	24-39	28
19.ლილი	29	7	7	15	28-46	28
20.მეცი	29	5	5	19	26-55	20

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-ზვოლე	2:0
აიაქსი-ჰერენვენი	4:1
უტრეხტი-ვიტესი	5:1
ფეინოორდი-ალკმაარი	2:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

პორტიმორენშე-გიმარაეში	2:1
მარიტიმუ-სეტუბალი	4:2
ბელენენსეში-ტონდელა	0:0
ფერეირა-პორტუ	1:0

ხუსეთი. პრემიერლიგა

როსტოვი-ზენიტი	0:0
ახმატი-ცსკა	0:3
სპარტაკი-ხაბაროვსკი	1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუცერნი-ბაზელი	1:0

ლუცერნის გოლი ვაკო გვილიამ გაიტანა

სიონი-თუნი	7:2
იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი	3:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

რეინჯერსი-სელტიკი	2:3

ავსტრია. ბუნდესლიგა

მატერსბურგი-ზალცბურგი	2:2

ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-ანტვერპენი	2:1
გენკი-ჰენტი	1:2
კორტრაიკი-შარლერუა	2:0
ლოკერენი-ვარეგემი	0:2
მეხელენი-ბევერენი	2:0
ოსტენდე-სტანდარდი	2:3
სტ.ტრუიდენი-ბრიუგე	0:1
ეუპენი-მუსკრონი	4:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

პლატანიასი-ოლიმპიაკოსი	0:4
ქსანთი-პანეთოლიკოსი	1:0
ლამია-ლევადიაკოსი	1:1

თურქეთი. სუპერლიგა

გიოზთეფე-ანთალია	2:1
ქაისერი-ქარაბუქი	3:2
მალათია-ფენერბახჩე	0:2
გალათასარაი-ქონია	2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

სლავია-სიგმა	3:1
იაბლონეცი-ბანიკი	2:0
პლზენი-ლიბერეცი	2:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეხი-იაგელონია	5:1
ლეხია-ლეგია	1:3

უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-ზორია	0:0
დინამო-ვერესი	1:0
კარპატი-ოლიმპიკი	0:3

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ლუნგბიუ	1:0
ოლბორგი-რანდერსი	4:0
ნორდსიელანდი-მიდტიულანდი	1:1
ჰორსენსი-ბრონდბიუ	1:1

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო გლიმტი-ლილესტრომი	3:1
მიოლდე-სანდერფიორდი	5:0
სტარტი-ტრომსო	4:1
სტრომგოდსეტი-სტაბეკი	2:2
ოდ გრელანდი-ჰაუგესუნდი	1:2
სარპსბორგი-რუსენბორგი	1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფაჩულიას ორმაგი დუბლი და შერმადინის ტრავმა

ზაზა ფაჩულიამ მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მინესოტა ტიმბერვულვსთან მატჩში ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო, თუმცა მოედანზე ჯავალ მაკგის ნაცვლად შესულმა დიდი შედეგიანობა გამოიჩინა და ის მწვრთნელმა, სტივ კერმა მოედანზე კარგა ხნით დატოვა. 25 წუთში ფაჩულიამ 16 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა, თუმცა დასანანი ისაა, რომ გოლდენ სტეიტმა ეს თამაში წააგო – 103:109.

ქართველი ცენტრისთვის ეს გახლდათ მიმდინარე სეზონის პირველი და ნბა-ს კარიერაში 113-ე ორმაგი დუბლი. მთლიანობაში ზაზამ 9-დან 7 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 16 ქულასა და 11 მოხსნასთან ერთად ფაჩულიამ 3 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა.

ამ მარცხმა გოლდენ სტეიტს საშუალება არ მისცა, ლიგის ლიდერ ჰიუსტონს წამოსწეოდა და 51 მოგებითა და 14 მარცხით 30-გუნდიან ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მე-2 პოზიციაზეა. შემდეგ მატჩში, ოკლენდელები ლოს ანჯელეს ლეიკერსს უმასპინძლებენ.

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტური კი ქართველების გარეშე გაიმართა. გიორგი შერმადინს ტრავმა აქვს, ხოლო თორნიკე შენგელია ბასკონიას მთავარმა მწვრთნელმა პედრო მარტინესმა დაასვენა. მიზეზი გადატვირთული კალენდარია. ბასკონიამ ესპანეთის ჩემპიონატში ორი ლიდერის გარეშეც სტუმრად იოლად დაამარცხა კატალონიური ხუვენტუდი – 75:61.

შერმადინი კი 6-8 კვირას ვერ ითამაშებს. მისი რეაბილიტაცია მაქსიმუმ 8 კვირას გაგრძელდება, ხოლო თუ უფრო მოკლე დრო დასჭირდება, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად წარიმართება აღდგენითი პროცესი.

მას მარცხენა ფეხზე მოტეხილობა აღმოაჩნდა. პირველადი გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა გიორგი დაამშვიდეს – საშიში არაფერიაო. თუმცა საბოლოო პასუხი მომდევნო დღეს უნდა ეთქვათ. პასუხი არ აღმოჩნდა დამაიმედებელი.

იმედი დავიტოვოთ, რომ ტრავმის მოშუშების პროცესი წარმატებულად გაგრძელდება და შერმადინი უნიკახას პლეი ოფში დაუბრუნდება.

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ნატურალი-

ზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა მაიკლ დიქსონმა თურქეთის პირველ ლიგაში მორიგი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა.

დიქსონის ბაჰჩეშეჰირმა შინაურ კედლებში ანტალიას 90:74 სძლია, მაიკლმა კი მოედანზე 35 წუთი გაატარა და 30 ქულა, 4 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 9-დან 6 ორქულიანი და 12-დან 6 სამქულიანი ჩააგდო, საჯარიმო კი ააცილა.

ცხადია, დიქსონი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა, ბაჰჩეშეჰირმა კი 16 მოგება და 10 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე დამკვიდრდა. მაიკლის გუნდს მომდევნო შეხვედრა სტუმრად, ბელედიესისთან ელის.

ადრიატიკის ლიგის რეგულარული სეზონის უკანასკნელ ტურში გოგა ბითაძის მეგა ბიმაქსი ბოსნია-ჰერცეგოვინის წარმომადგენელ იგოკეას დაუხვდა და ახალგაზრდა ქართველი ლეგიონერის ლიდერობით 99:87 დაამარცხა.

ბითაძე ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 32 წუთში 18 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. გოგამ 11-დან 6 ორქულიანი, ერთი სამქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

მეგა ბემაქსმა სეზონი 8 მოგებითა და 14 მარცხით დაასრულა და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილი დაიკავა. ახლა, ბითაძის კლუბი სერბეთის ჩემპიონატზე გადაერთვება და, სავარაუდოა, რომ გოგა მაისში დაგეგმილი ახალგაზრდული ევროლიგის ფინალური ეტაპის მატჩებშიც გამოჩნდება.

ბათუმმა უშუალო კონკურენტი დაამარცხა

ბათუმი-ოლიმპი 72:68

(19:18, 22:23, 14:16, 27:21)

აჭარულმა გუნდმა ოლიმპს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. მატჩს ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმიც და ოლიმპიც ცხრილის შუაში არიან და ორივეს პლეი ოფში გასვლის ამბიცია გააჩნია. შესაბამისად, ოთხეულში გასვლისთვის აღნიშნული მატჩის მოგება ჰაერივით საჭირო გახლდათ და ეს ბათუმელებმა დიდი ბრძოლის შედეგად მოახერხეს.

თამაში თანაბარი გამოვიდა და კვანძი ბოლო პერიოდში გაიხსნა. პირველი მეოთხედი ქულით მასპინძლებმა მოიგეს, მეორეში ქულით უკვე სტუმრებმა იმარჯვეს და დიდ შესვენებაზე თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა. მესამე ათწუთეულში სტუმრებმა კვლავ მცირე უპირატესობა მოიპოვეს და გადამწყვეტ პერიოდს 2-ქულიანი ლიდერობით შეხვდნენ – 57:55.

თანაბარი თამაში ბოლო მეოთხედშიც გაგრძელდა. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ანგარიში საყაიმო იყო – 65:65, რის შემდეგაც მომდევნო წუთნახევრიანი პერიოდი ბათუმელებმა 6:0 მოიგეს და 71:65 დაწინაურდნენ. ვახტანგ ქადარიას ორქულიანს ბათუმელთა ამერიკელმა ლეგიონერმა სპენსერ კოლინსმა 2 ზუსტი გარღვევა მოაყოლა.

დარჩენილ დროში თბილისელებმა ორჯერ მოახერხეს მეტოქესთან 2 ქულით მიახლოვება, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს.

ბათუმში 15 ქულით, 8 მოხსნითა და 7 ჩაჭრით საუკეთესო იყო ერიკ ჩილდრესი. 16 ქულა და 8 მოხსნა სპენსერ კოლინსმა მიითვალა, სტეფან ანდრეიევიჩის ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 19 ქულით და 9 პასით გივი ბაქრაძე გამოირჩა. ნიკა დარბაიძის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა.

სატუნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	21	17	4	1814:1583	38
2.დინამო	21	14	7	1735:1565	35
3.კაკტუსი	22	13	9	1749:1769	35
4.რუსთავი	21	14	7	1703:1600	35
5.ბათუმი	22	12	10	1676:1584	34
6.ოლიმპი	21	12	9	1639:1583	33
7.მგზავრები	21	7	14	1604:1766	28
8.დელტა	21	6	15	1678:1815	27
9.სოხუმი	22	1	21	1660:1993	23

მოამზადა მისეილ ყორყოლიანმა

ქალეიდოსკოპი

ამერიკელმა ქალმა თმების გამო ბოიფრენდი სასიკვდილოდ გაიმეტა

ვაშინგტონის მცხოვრებ ემილი ხავიერს თავის ბოიფრენდზე მკვლელობის მიზნით თავდასხმის ბრალდება აქვს წაყენებული. მის მოკვლას ქალი სამურაის ხმლით ცდილობდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა გოგონამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც თავისი მეგობარი მამაკაცის ტელეფონში ნახა გაცნობის გვერდის მისამართი, ხოლო სააბაზანოში – სხვა ქალის თმები.

პოლიციას თავად გოგონამ მიმართა. ტელეფონში მან განაცხადა, რომ ბოიფრენდს ხმალი დაარტყა. როდესაც პოლიციელები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ხავიერი სახლთან იდგა ერთიანად სისხლით მოსვრილი. 29 წლის ალექს ლოველი საწოლ ოთახში ეგდო უამრავი ნაჭრილობევით. პოლიციის ოფიცრების თქმით, ოთახის კედლები სისხლის შხეფებით იყო დაფარული.

გოგონას განმარტებით, მას ეჭვი გაუჩნდა, რომ მეგობარი მამაკაცი ღალატობდა. ტელეფონში ჰქონდა გაცნობის გვერდის მისამართი, ზურგზე ნაკაწრები, ხოლო სააბაზანოში წითური თმები აღმოაჩინა. ხავიერი მამაკაცის მოკვლას რამდენიმე დღის განმავლობაში გეგმავდა. მან იყიდა სამურაის ხმალი, დამალა და, როდესაც ლოველმა დაიძინა, ხმალი რამდენჯერმე ჩაარტყა.

პოლიციის ინფორმაციით, დაზარალებული საავადმყოფოში იმყოფება. მათი ინფორმაციით, გოგონა ჯერ მეგობარი მამაკაცის, შემდეგ კი თავის მოკვლას გეგმავდა. ამჟამად ხავიერი ციხეში იმყოფება.

ნარკომოვაჭრემ კუჭში გასვლისგან თავის შეკავებით პოლიცია გააბითურა

ნარკოტიკების შენახვაში ბრალდებულმა 24 წლის ნარკომოვაჭრე ლამარ ჩამბერსმა პატიმრობიდან გათავისუფლებას მას შემდეგ მიაღწია, რაც 47 დღის განმავლობაში უარს აცხადებდა კუჭში გასვლაზე.

მამაკაცი 17 იანვარს ინგლისის ქალაქ ჰარლოუს პოლიციამ დააკავა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩამბერსმა აკრძალული ნივთიერების გადაყლაპვა მოასწრო და მათ სასამართლოს დახმარებით მისთვის დაკავების ვადის რამდენჯერმე გახანგრძლივებას მიაღწიეს, რათა მამაკაცი ტუალეტში გასულიყო, ხოლო მათ ნივთმტკიცება მოეპოვებინათ.

40 დღის თავშეკავების შემდეგ ჩამბერსმა მოითხოვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის გონებას დაკარგავდა, რეანიმაცია არ ეცადათ და მისთვის ხელი არ ეხლოთ. ადვოკატი აცხადებდა, რომ ის სიკვდილის საფრთხის წინაშე იმყოფებოდა.

ექიმებთან და იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ პოლიციამ გადაწყვიტა, ბრალდება უკან გაეწვია. მამაკაცი ავტომობილით სამედიცინო განყოფილებაში გადაიყვანეს.

ამერიკელს მოგებული ბილეთის შიში გაუჩნდა

ამერიკელმა ქალმა თავისი ლატარიის ბილეთი, რომელმაც სამი მილიონი დოლარი მოიგო, მისი განაღდების ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე გაანაღდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ინა ფერნანდესმა ვირჯინიის შტატიდან ბილეთი ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში შეიძინა, მაგრამ მის შესახებ დაავიწყდა და ხელჩანთით დაატარებდა. ქალის თქმით, მან შემოდგომის ბოლოს მაინც შეამოწმა ის და, როდესაც გაიგო, რომ მოგებული ბილეთის მფლობელი იყო, გადაწყვიტა, არაფერი მოემოქმედებინა და ამის შესახებ მეუღლისთვისაც კი არ ეთქვა.

გარდა ამისა, ქალმა ერთი დოლარი გადაიხადა დამატებითი ბურთულის გახსნაში, რომელიც მოგებას აორმაგებს, ასამმაგებს ან აოთხმაგებს. მას ერგო ნომერი სამი, რამაც მისი მოგება ერთიდან სამ მილიონ დოლარამდე გაზარდა.

საბოლოოდ ფერნანდესმა მოგების მიღება მხოლოდ მარტის დასაწყისში გადაწყვიტა, მოგების განაღდების ვადამდე ერთი დღით ადრე. ქალმა აღიარა, რომ მას დრო სჭირდებოდა იმისთვის, რომ ყველაფერი კარგად გაეაზრებინა და ფინანსებზე ეზრუნა, თუმცა, ამას როგორ აპირებს, არ დაუკონკრეტებია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 მარტისთვის

ვერძი – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **კურო** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ტყუპები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. **კირჩხიბი** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ლომი** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **სასწორი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **ღრიანკალი** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. **თხის რქა** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **მერწყული** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **თევზები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ავადმყოფობის სიმპტომების დროებითი შესუსტება; 2. სატირული ხასიათის მიბაძვა; 3. ცეცხლსასროლი იარაღი; 4. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 5. აეროპორტი ქაიროში; 9. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. ქაღალდისგან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 14. კაცთმოძულე ადამიანი; 15. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. პერუში მცხოვრებ ინდიელთა ტომი; 19. სუპერმარკეტი თბილისში; 20. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 21. ცხენის მოსართავი.

თარაზულად: 6. ხელოვნების ნიმუშის, არქიტექტურული ძეგლის აღდგენა პირვანდელი სახით; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. აეროპორტი ლონდონში; 11. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 12. ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი; 13. თირკმლების ანთება; 17. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 18. მრავალსართულიანი სახლის ბოლო სართულზე განთავსებული იზოლირებული, ფეშენებელური ბინა; 22. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 23. რაიონული ცენტრი იმერეთში; 24. მაღალხარისხოვანი ნაყინი; 25. თანამედროვე ქართველი კინორეჟისორი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ბაქტერია; 6. გრადუსი; 8. კალმახი; 10. სარბიელი; 11. სტროფი; 13. გრიფელი; 16. მოკასინი; 18. თუთია; 19. გნომი; 21. „ფაუსტი“; 22. არტიშოკი; 23. მარკეტი.

შვეულად: 1. ქარაშოტი; 2. კროლი; 3. კარამელი; 4. ყივილი; 7. შხარა; 9. სფერო; 12. პლებისციტი; 14. სინუსი; 15. ჩონგური; 17. ბურვაკი; 20. ბანკი.

სკანვორდის პასუხები:

1. ალიბი; 2. კანიონი; 3. იონი; 4. ოდა; 5. აბი; 6. სერ; 7. სიგელი; 8. ლუვრი; 9. რიმესა; 10. გერი; 11. ირბისი; 12. ყაენი; 13. რე; 14. იიპე; 15. ოგურტი; 16. მერსედესი; 17. მონსტრი; 18. პიურე; 19. პლინთუსი; 20. ლაპი; 21. არე; 22. აპისი; 23. კრინი; 24. ნესტარი; 25. კომა; 26. სითხე; 27. სნაიპერი; 28. ესტონეთი; 29. ზერო; 30. თელა; 31. აზნაური.

სურათებზე: თეა ლეონი; ხოსე მანუელ რეინა.

თამარ მეფე და ქართლის დედა პრეზერვატივების შეფუთვაზე გამოსახეს



„აიისა“ – ასე ჰქვია პრეზერვატივების ბრენდს, რომელიც შემოქმედებითი სიახლეების თვალსაზრისით, შეფუთვაზე თამარ მეფის და ქართვლის დედის გამოსახვასაც არ ერიდება.

მომხმარებლის მიზიდვას ბრენდი სხვა ორიგინალური ხერხებითაც ცდილობს და შეფუთვაზე დიდგორის ბრძოლის სლოგანს „ძლევაი საკვირველი“ აწერს. სხვა შეფუთვაზე ასომთავრული წარწერით კი წერია, რომ „ქართველი გეი არ არსებობს“.

შეფუთვებმა ქართულ საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია და ბევრი მის შემქმნელებს სასამართლოთიც დაემუქრა, რადგან მათი განცხადებით, არსებობს სიწმინდე, რომელსაც არანაირად არ უნდა შეეხო.

ანრი ჯოხაძე საავადმყოფოში მოხვდა



მომღერალი ანრი ჯოხაძე საავადმყოფოში მოხვდა. ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და საჯარო მადლობა „პარიმ შოუს“ ერთ-ერთ წამყვანს, კარდიოლოგ ნინო ნადირაძეს გადაუხადა.

ანრი ჯოხაძე:

– ყველას დიდი მადლობა მოკითხვისთვის. უკვე გამომწერეს და უკეთ ვარ.

მადლობა ჩემს „კუზიას“ და მთელ მედ-პერსონალს გულისხმიერებისთვის და ჩემი ამქვეყნად მობრუნებისთვის.

ირაკლი ჩარკვიანის „მშვიდი ცურვა“ გერმანულად გამოიცემა



ირაკლი ჩარკვიანის რომანი „მშვიდი ცურვა“ გერმანულ ენაზე გამოიცემა და მისი წარდგენა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მოხდება.

ინფორმაცია ამის შესახებ ირაკლის მეუღლემ ქეთათომ გაავრცელა:

– ძალიან მიხარია, რომ სულ მალე, ირაკლი ჩარკვიანის წიგნს „მშვიდი ცურვა“ გერმანული გამომცემლობა გამოსცემს გერმანულ ენაზე და მისი წარდგენა მოხდება 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე!

მადლობა მთარგმნელ იუნონა გურულს და ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს მხარდაჭერისთვის. ვულოცავ გამომცემლობა ინტელექტს.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ფიქრია თურმანიძე, შვილები ქეთევან, ნინო, ნოე, დები მარინა, ეკატერინე, სიძეები გივი ყოჩიაშვილი და გულადი კაკრიაშვილი, ცოლისძმა კობა თურმანიძე, დისშვილები ნინო, თამარი, ანი, აკაკი, შოთა, დისშვილიშვილები ანი და ლუკა, მამიდა ნინა, ბიძა მერაბ ტაგანაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ნოეს ძე ტაგანაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 11, 12 მარტს.

დაკრძალვა: 13 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: გურამიშვილის გამზირი, კორპუსი 41 (მეტრო „სარაჯიშვილი“).

ლანჩხუთის №1 საშუალო სკოლის 1955-56 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ზაირა მენაღარიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ერეკლე მეფის სასახლის რესტავრაციის დასრულებისას ვიტრაჟები ეზოში დაყარეს

ერეკლე მეფის ისტორიული სასახლის რესტავრაცია დასრულდა, თუმცა უნიკალური და ულამაზესი ვიტრაჟები ღია ცის ქვეშ, ქუჩაშია დაყრილი.

რესტავრაციის ფარგლებში სასახლის ძველი ვიტრაჟები ახლით შეიცვალა, რომელიც თამარ უგუზაშვილის განცხადებით, პლასტმასის სათამაშოებს ჰგავს. ინფორმაცია და ფოტოებიც სოციალურ ქსელში თამარ უგუზაშვილმა გაავრცელა:

– ერეკლე მეფის სასახლის „რესტავრაცია“.

ძველი ვიტრაჟები ასე ყრია ეზოში.

ახალი პლასტმასის სათამაშოებს ჰგავს.

რა ვთქვა, არ ვიცი, მეტირება, რომ ვუყურებ.

გოგი გეგეჭკორი 95 წლის გახდებოდა

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი გოგი გეგეჭკორი 95 წლის გახდებოდა. რუსთაველის თეატრის მსახიობმა თეატრსა თუ კინოში არაერთი როლი შეასრულა და მაყურებელსაც განსაკუთრებულად შეაყვარა თავი.

მას მიხეილ თუმანიშვილი ქართული თეატრის ჯენტლმენს და თავიდან ფეხებამდე არტისტს უწოდებდა. თავად მსახიობი კი აღნიშნავდა, რომ პროფესია მისთვის ყველაფერი იყო.

გოგი გეგეჭკორი:

– პირველი თეატრალური ნათლობა მე-14 საშუალო სკოლაში მივიღე, IV კლასში. იმ დღიდან გამიტაცა თეატრმა. ბოლო კლასებში მამაჩემს ხშირად დავყავდი თეატრში, თითქმის ყველა წარმოდგენა მაქვს ნანახი როგორც რუსთაველის და მარჯანიშვილის, ასევე მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ჩემი ძმაც მსახიობი იყო და მეც გადავწყვიტე ჩამებარებინა თეატრალურ ინსტიტუტში. 1940 წელს გავხდი სამსახიობო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი და ბედმა იმითაც გამიღიმა, რომ ჩემი პედაგოგები იყვნენ შესანიშნავი ხელოვანნი დოდო აღლექსიძე, გიორგი ტოვსტონოგოვი, მალიკო მრევლიშვილი და სხვები.

თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდი იყო ჩემთვის ძალიან მასშტაბური, ბევრი როლი ვითამაშე სასწავლო სცენაზე, რამაც გარკვეული სკოლა მომცა, ბევრ პროფესიულ საიდუმლოს სწორედ ინსტიტუტში ვეზიარე, დავიჯერე, რომ მეც შეიძლება რაღაც გავაკეთო სცენაზე. და ბოლოს 1944-45 წლების სეზონში აკაკი ხორავას დახმარებით აღმოვჩნდი რუსთაველის თეატრში. პირველი როლი იყო გლუმოვი-ოსტროვსკის პიესაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, მე თავად აკაკი ხორავას დუბლიორი გახლდით. განსაკუთრებული შეფასება და რეცენზიები ამ სახის მიმართ მე არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს დიდი სინაზე, პირველი სერიოზული როლის თამაშთან დაკავშირებული განცდები. ამას მოჰყვა სპექტაკლი „პირველი ნაბიჯი“, სადაც ბახვა ფარულავას ვთამაშობდი. ასე ავიდგი ფეხი რუსთაველის თეატრში.

1949 წელს „ბარათაშვილი“ დაიდგა. რეჟისორმა დოდო აღლექსიძემ მე მანდო ბარათაშვილის როლის განსახიერება. პრემიერამდე სამი დღით ადრე რუსთაველის თეატრის შენობა დაიწვა და პრემიერა ვითამაშეთ ოპერის თეატრის სცენაზე. სულ მოკლე ხანში რუსთაველის თეატრი აღადგინეს და იქ განვაგრძეთ სპექტაკლის თამაში. „ბარათაშვილი“ წარმოვადგინეთ 200-ზე მეტჯერ. სპექტაკლს არნახული წარმატება ხვდა წილად.

უჩვეულო ამპლუაში მომიწია „სამანიშვილის დედინაცვალში“ ყოფნა. ვიყავი სპექტაკლის წამყვანიც და პლატონის როლის შემსრულებელიც. აუცილებელი იყო რაღაც შუალედის მოძებნა, როგორ უნდა შევსულიყავი პლატონის ქერქში და მიმეტოვებინა ავტორისეული. ეს რაღაც ახალი თვისება, რომელიც ჩემს შემოქმედებაში პირველად გაჩნდა, ძალიან ძნელად დასაძლევი იყო. დიდხანს ვეძებდით ჩვენ ამას, სიმონნეთშიც კი გახლდით, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში. იქაც განვაგრძეთ ძიების პროცესი და ბოლოს გადაწყდა, რომ სპექტაკლის ფორმა იქნება ისეთი, თითქოს დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ რუსთაველის თეატრის მსახიობები და გაითამაშებენ სცენებს მისი ნაწარმოებიდან. ამ წარმოდგენას წარმატება ხვდა წილად. დიდძალი მაყურებელი დაესწრო, ბევრჯერაც ვითამაშეთ. იგი ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი იყო, რომელიც თეატრმა საგასტროლოდ საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წაიღო. გერმანიაში მე ავტორისეული დასაწყისი და ბოლო ტექსტი გერმანულად წავიკითხე. ამ როლთან დაკავშირებულია საოცარი ეტაპი ჩემი ცხოვრების და ეს როლი სულ თან დამყვება.

ჩვენი პროფესიის საიდუმლოება იმაშია, რომ სცენაზე გამოსვლისას შენ გრძნობდე, თითქოს ამ როლს თამაშობ პირველად, როგორც პრემიერაზე. თუ ამ გრძნობას უმტყუნებ, მაშინ ეს როლი დაკარგავს თავის მშვენიერებას. ეს არის თეატრის მსახიობის სამზარეულოს საიდუმლოება – როგორც პირველად. ეს ძალიან ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე ბევრი როლი ვითამაშე, ვცდილობდი ამ პრინციპის დაცვას. ახალგაზრდებსაც მოვუწოდებ, ისწავლონ როლის პერსპექტივაში თამაში.

მე მოცულობით დიდი როლები მითამაშია. ამ როლებიდან ერთი ათი როლი ვითამაშე კარგად, დანარჩენი, როგორც პროფესიონალმა, საშუალოდ, ბევრიც ცუდად. მე არ ვარ ის კაცი, ჩემი როლებით ვიტრაბახო...

მაგრამ მე საგრიმიორო ოთახში რომ აღარ შემოვიდე, ჩემს სარკესთან რომ აღარ დავჯდე, გრიმი არ გავიკეთო, გათავდა, მაშინ წერტილი უნდა დამესვას. რა ვქნა, ჯერ-ჯეროობით ვარ აქ, ამ თეატრში და ვთამაშობ ცოტას...“

„ღამის შოუს“ გიორგი ბახუტაშვილი წაიყვანს

იუმორისტული გადაცემა „ღამის შოუ“ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დაიწყება. გადაცემის წამყვანი კი მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი იქნება.

ინფორმაცია იუმორისტმა ნიკა ქავთარაძემ გაავრცელა:

– იმედზე „ღამის შოუ“ იწყება.

ყოველი ახალი იუმორისტული გადაცემის დაწყებისას, ერთ რამეზე ვფიქრობ, ნეტავ მაგარი გამოვიდეს.

რატომ? იმიტომ, რომ ყოველი ახალი იუმორისტული შოუს წარუმატებლობა სულ უფრო კლავს შანსს, რომ ეს ჟანრი იყოს მოთხოვნადი.

ბევრი ჩემი მეგობარი და ნაცნობი იქნება ამ კონკრეტული გადაცემის შემქმნელი და მინდა სწორედ ამაზე იფიქრონ. იფიქრონ არა მხოლოდ სტაბილურ ხელფასზე და სიმშვიდეზე, არამედ იმაზე, რომ მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანონ, დაუბრუნონ ქართველი იუმორისტებისადმი ნდობა და სიყვარული.

ამას ნიჭიერებასთან ერთად სჭირდება იუმორისთვის უმთავრესი – თავისუფლება.

მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუქმნიათ ამ ქვეყანაში ყველაზე მაგარი იუმორი და სატირა.

აბა, თქვენ იცით, წარმატებები! რადგან თქვენი წარმატება მარტო თქვენ არ გჭირდებათ.

კულტურის ქართველი მოღვაწეები ვლადიმირ პუტინს ღია წერილით მიმართავენ



საქართველოს კულტურის პალატამ გაავრცელა ღია წერილი, რომელსაც ქართული კულტურის მოღვაწეები აწერენ ხელს და ვლადიმერ პუტინს მიმართავენ:

– ჩვენ, საქართველოს ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანები, შეშფოთებულები ვართ არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვის გამო. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ორ კვირაზე მეტია, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან ვერ ხერხდება ცხედრის გადმოსვენება.

ბატონო ვლადიმერ, ეს ფაქტი კიდევ უფრო აღვივებს რუსეთთან დაპირისპირებას და დარტყმის ქვეშ აყენებს ისედაც შესუსტებულ ქართულ-რუსულ ურთიერთობას. ჩვენ, ქართველი ხელოვანები კატეგორიულად მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ მოხდეს, ჩვენი მოქალაქის, არჩილ ტატუნაშვილის გადმოსვენება, რათა ოჯახმა და მთლიანად ქვეყანამ შეძლოთ ცხედრის დატირება.

წერილს ხელს დავით ოქიტაშვილი, ასმათ ტყაბლაძე, ნუნუ გაბუნია, თეიმურაზ გვალია, ზურაბ ყიფშიძე, თამარ ჭოხონელიძე, მაკა მახარაძე, მარიკა კვალიაშვილი, ირმა სოხაძე და ლია მიქაძე აწერენ. ხელმოწერები კი გრძელდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.4462	ევრო — 3.0088
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3780	100 რუსული რუბლი — 4.2920

ამინდის პროგნოზი 13 მარტისთვის

6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

8 მარტიდან

60 ამბავი

უცხოეთში დაკარგული ქართველები

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 მარტიდან

100 ამბავი

მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პაოკის პრეზიდენტი მოედანზე პისტოლეტით შეეარდა და მსაჯს მოკვლით დაემუქრა

საბერძნეთის ჩემპიონატში დიდი სკანდალი მოხდა.

პაოკის და აეკის შეხვედრის დროს მსაჯმა აეკის კარში გოლი არ ჩათვალა, რის გამოც პაოკის პრეზიდენტი ივან სავიდისი მოედანზე პისტოლეტით შეიჭრა და მსაჯს მოკვლით დაემუქრა. მსაჯი სპეცრაზმის დახმარებით მოედნიდან გავიდა, შეხვედრა კი შეწყდა და ჯერჯერობით უცნობია, როდის განახლდება.

ამ ფაქტს უკვე გამოეხმაურა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც თქვა, რომ სავიდისი აუცილებლად დაისჯება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სავიდისს უახლოეს დღეებში დააპატიმრებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ტელეფონის ზარი. ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– მანქანას რა მოუვიდა, ძუკნა?!!

•••

მამაკაცი სამეურნეო მაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, თოკი და საპონი მომეცით.

– რა, თავის ჩამოხრჩობას აპირებთ?

– არა, კაცო, ვიბანავებ და მთაში წავალ, მთამსვლელი ვარ.

•••

ქმარმა ანალიზის ჩასაბარებლად განავალი ასანთის კოლოფში მოათავსა და პოლიკლინიკაში წავიდა. გადის ერთი დღე, მეორე, ქმარი არ ჩანს. ცოლმა ძებნა დაუწყო. ბოლოს, საავადმყოფოში მისული, დამლაგებელს ეკითხება:

– ქმარი დავკარგე და აქ ხომ არ მოუყვანიათ ვინმე მამაკაცი?

– ქირურგიულ განყოფილებაშია ვიღაც უცნობი და ნახე, იქნებ შენი მეუღლეა.

ქალი შედის და ხედავს, მისი ქმარი ერთიანად თაბაშირშია ჩასმული. გაოცებული ეკითხება:

– რა დაგემართა?

– არ მახსოვს, ძვირფასო, ქუჩაში ვიღაცამ ასანთი მთხოვა და იმის მერე არაფერი მახსოვს...

•••

მეგობრები ტელევიზორში ზამთრის ოლიმპიადას უყურებენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– ვერ წარმომიდგენია, ბიატლონში ფინშთან მეორე როგორ უნდა მიხვიდე, როდესაც ზურგზე იარაღი გკიდია.

***

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ადრე მარკებს არ აგროვებდი?

– ჰო, მაგრამ უკვე დიდი ხანია, ევროებზე გადავედი.

•••

მამა ბავშვს აბანავებს და ცოლს გასძახებს:

– ქალო, ბავშვი საპონს ჭამს.

ორი წუთის შემდეგ ისევ იძახის:

– მართლა გემრიელი ყოფილა!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორ ვიქორწინო ახალგაზრდა, ლამაზ, მდიდარ და ჭკვიან ქალზე?

– ოთხჯერ დაქორწინება მოგიწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

პსჟ-ს პრეზიდენტი ნეიმარს ბრაზილიაში ჩააკითხავს

პსჟ-ს პრეზიდენტი ნასერ ელ ჰელაიფი ბრაზილიაში აპირებს ჩასვლას, რომ ნეიმარს დაელაპარაკოს და პარიზში დარჩენაზე დაითანხმოს.

ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეიმარი პსჟ-დან წასვლას აპირებს და ბარსელონაში დაბრუნება სურს. ამის გამო ელ ჰელაიფი სასწრაფოდ აპირებს ნეიმართან საუბარს და უახლოეს დღეებში ის ბრაზილიაში ჩაფრინდება, სადაც ნეიმარი ამჟამად ტრავმას იშუშებს.

შეგახსენებთ, რომ ნეიმარი მარსელთან შეხვედრის დროს დაიმტვრა და ტრავმის გამო მაისის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს.



ჯეიმი კარაგერმა მანჩესტერ იუნაიტედის ფანს შეაფურთხა

ლივერპულის ლეგენდა ჯეიმი კარაგერი, რომელიც ამჟამად ინგლისის ტელევიზიაში საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, მეტად უსიამოვნო ისტორიაში გაეხვა. კარაგერმა მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთ ფანს მანქანიდან შეაფურთხა და ეს ყველაფერი ვიდეომ დააფიქსირა.

კარაგერმა თავისი საქციელის გამო ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ გულშემატკივარი ლივერპულს მასხარად იგდებდა და ამან კარაგერი ძალიან გააბრაზა. კარაგერმა პირობა დადო, რომ მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდება.

მიუხედავად ამისა, ამ ჟესტის გამო კარაგერი შესაძლოა ინგლისის ტელევიზიიდან გამოუშვან, მაგრამ სავარაუდოდ ჯეიმის ერთხელ აპატიებენ.

ჰარი კეინმა შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს

ტოტენჰემის და ინგლისის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ჰარი კეინმა ბორმუტთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და მან შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს. კეინმა კოჭის ტრავმა მიიღო და ეს ტრავმა საკმაოდ სერიოზულია.

პირველადი ინფორმაციის მიხედვით, კეინს მინიმუმ ორი თვე დასჭირდება, მაგრამ ეს ყველაზე კარგ შემთხვევაში. შესაძლებელია, ტოტენჰემის ფორვარდმა 3 თვე გამოტოვოს. კეინი ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ ის თავის პოზიციას ვერ შეინარჩუნებს, რადგან საკლუბო სეზონი მისთვის დასრულებულია.

რეალი ბენზემას, სავარაუდოდ, ზაფხულში გაყიდის

მადრიდის რეალი კარიმ ბენზემათი უკმაყოფილოა და ზაფხულში მის გაყიდვას აპირებს. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება ესპანურ პრესაში. ბენზემას სანაცვლოდ რეალი რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს, მათ შორის არიან მაურო იკარდი და რობერტ ლევანდოვსკი. ლევანდოვსკის ყიდვა რეალს გაუჭირდება, იკარდი კი მადრიდში თამაშზე, სავარაუდოდ, უარს არ იტყვის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქართველი მოდელიორი ქალი; 2. აეროპორტი რომში; 3. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 4. ქალაქი ჰოლანდიაში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და მთავრობა; 5. რაიმე საქმეში სიახლის შემომტანი ადამიანი; 7. ბუნებრივი წყალსაცავი; 11. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 15. ლირიკული სიმღერა; 16. ვაჭართა გაერთიანება ძველად, რომელიც თავისი წევრების ინტერესებს იცავდა; 17. თეატრალური სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 18. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 20. ბულგარეთის დედაქალაქი; 22. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი.

თარაზულად: 6. ფულის გამოძალვა; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ასტრონომიული ან გეოდეზიური ხელსაწყოების დასამაგრებელი, დასაკეცი სამფეხა; 10. საქართველოს ეროვნული გმირი; 12. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 13. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; 14. მოხეტიალე მუსიკოსი-მსახიობი ძველ რომში; 19. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 21. კომპიუტერული თაღლითი; 23. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 24. ნარკოტიკული ნივთიერება; 25. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 26. თხევადი საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა